


სისგმეა მოქალაქის წინააღმდეგ
SYSTEM AGAINST THE CITIZEN

კვლევა
A RESEARCH

ლისი ზღის სეჟე
LISI LAKE CASE



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
დეკემბერი, 2015 წ.
ქ. თბილისი

N(N)LP The „Young Barristers”
december, 2015
Tbilisi



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ System Against the Citizen

Ramaz Akhvlediani's Case
რამაზ ახვლედიანის საქმე

კვლევა

A research

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
დეკემბერი, 2015 წ.
ქ. თბილისი

N(N)LP The „Young Barristers“
December, 2015
Tbilisi

Researchers:

N (N) LP the „Young Barristers” team

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

არჩილ კაიკატიშვილი

Head of the Working Group

Archil Kaikatsishvili

სამუშაო ჯგუფი:

Working Group:

არჩილ კაიკატიშვილი

Archil Kaikatsishvili

ანა კიკნაძე

Ana Kiknadze

მარიამ იობაშვილი

Mariam Iobashvili

ბეკა ჯავახიშვილი

Beqa Javakhishvili

ცაბო გუგუნაშვილი

Tsabo Gugunashvili

ლაშა ციბაძე

Lasha Tsibadze

თარგმნა:

Translated by:

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

N (N) LP the „Young Barristers”

ნინო ვალიკოვი

Nino Valikovi

გამოცემის დიზაინი:

Publishing design:

რობი გეთიაშვილი


Robi Getiashvili


კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება

შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.

Information presented in the research may only be

used by indicating the source

 ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

 N (N) LP the „Young Barristers

შინაარსი¹

შესავალი -----

საკითხის სამართლებრივი მხარე -----

საკითხის ფაქტობრივი ანალიზი -----

დასკვნა -----

სარეკომენდაციო წინადადებები -----

Table of Contents²

1. Introduction
2. Legal Aspects of the Issue
3. Factual Analysis of the Case
4. Conclusion
5. Recommendation Proposals

¹ მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

² Electronic version of the monitoring results is available on the official web-page of the organization: www.barristers.ge

1. შესავალი

საქართველოში, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომმა პოლიტიკური მმართველობის ცვლილებამ, საზოგადოების წინაშე არაერთი სისტემური დანაშაულის ჩადენის ფაქტი გახადა ცნობილი. მათ შორის, ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა იმ მოქალაქეების მიმართ არსებობს, რომლებსაც 2004-2012 წლებში, საკუთრება დაათმობინეს და სამართლიანი სასამართლოს უფლება შეუღალხეს.

2015 წლის 2 აგვისტოს, ორგანიზაცია „ახალაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავარ პროკურატურას, ქონებაჩამორთმეულ რამაზ ახვლედიანის საქმესთან დაკავშირებით, სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით მიმართეს და საქმეში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსის დავით კეზერაშვილის უწყებისა და ხელისუფლების ყოფილი სხვა მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ინტერესებზე გააკეთეს განცხადება. სპეციალურ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ორგანიზაცია საზოგადოებას კიდევ ერთ ქონებაჩამორთმეულის საქმეზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს წარუდგენდა, რომლის მიმართაც ქონების დათმობისა და ჩამორთმევის ფაქტი, სისტემური დანაშაულებების ნიშნებს ატარებს. „საქმე ეხება ლისის ტბის მფლობელ რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-საქმიანობას, რომელსაც ბიზნესი და საკუთრება, მაშინდელი ფინანსური პოლიციის უშუალო ზემოქმედების შედეგად დაათმობინეს. საქმის მასალების მიხედვით, 1998 წელს, რამაზ ახვლედიანმა გაიმარჯვა გამოცხადებულ კონკურსში და იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები. კონკურსის პირობების მიხედვით, ბიზნესმენმა სახელმწიფოს წინაშე სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, 2004 წელს სრულად გადაიხადა გამოსასყიდი თანხა, რის შედეგადაც, მას საკუთრებაში უნდა გადასცემოდა აღნიშნული ქონება. სახელმწიფომ მაშინდელი ფინანსური პოლიციის მეშვეობით, პირდაპირი ზეწოლა განახორციელა და წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის ჩამორთმევა დაისახა მიზნად. 2006 წლის 4 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანი დაიბარეს მაშინდელ ფინანსურ პოლიციაში და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობით დაემუქრნენ, როგორც მას, ასევე მის ახლობლებს. რამაზ ახვლედიანი იძლებული გახდა, თბილისის მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ელიარებიანა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილში, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. ბიზნესმენის განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს შეძენილი და 2006 წელს კი პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება ჩამოართვა“ - აღინიშნა ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ საჯარო განცხადებაში, რომელიც მასობრივი-საინფორმაციო საშუალებებითაც გაშუქდა.³

2015 წლის 15 ოქტომბერს, ორგანიზაციამ ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანთან ერთად, საქმის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ერთობლივი ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას მიაწოდა დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფომ მაშინდელი ფინანსური პოლიციის მეშვეობით, რამაზ ახვლედიანის მიმართ ტოტალური ზეწოლა განახორციელა და ქონება მას ღამის საათებში დაათმობინეს. წარმოდგენილი დოკუმენტი მიუთითებს, რომ თბილისის მერიაში, რამაზ ახვლედიანის განცხადება რეგისტრირებულია განცხადებაზე ხელმოწერიდან მეოთხე დღეს - 8 ნოემბერს, ხოლო თავად ფაქტი - წარმოდგენილი დოკუმენტი პირველი საჯარო დადასტურებაა, თუ

³ ა(ა)იპ „ახალაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 2 აგვისტოს პრესკონფერენცია და გავრცელებული მედია-რელიზი.

როგორ ხდებოდა ქონების დათმობაზე მესაკუთრეთა განცხადებების მომზადება. ორგანიზაციამ აღნიშნული დოკუმენტი, მრავალთვიანი კომუნიკაციის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიიღო, რომელიც საქმესთან დაკავშირებით, გამოთხოვილ ინფორმაციას თან დაერთო.⁴

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ რამაზ ახვლედიანის საქმის სრულფასოვანი კვლევა 2015 წლის ივნისიდან დაიწყო. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, შესწავლილ იქნა საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოება, საჯარო დაწესებულებების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები, ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებები, საქმესთან ორგანულად დაკავშირებული, ბიზნეს-პარტნიორების დღევანდელი დამოკიდებულებები. ორგანიზაციამ ცალკე ყურადღება დაუთმო რამაზ ახვლედიანის საქმეზე სამართლებრივ დასკვნას და სარეკომენდაციო წინადადებებს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რომელთა მიმართაც არსებობს კანონიერი მოლოდინი, რათა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე დადგეს სამართლიანი გადაწყვეტილებები. აღნიშნული კვლევა, რომელიც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა მოამზადა, მიეწოდება საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, გაეცნობა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს, საქართველოში დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამასთან, კვლევის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდება ევროკავშირს, ევროსაბჭოს, გაეროს სათაო ოფისებს, საქართველოს საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს. საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია, ქართველ სპეციალისტებთან და საკითხით დაინტერესებული პირების მონაწილეობით, გამართავს სადისკუსიო მაგიდას, სადაც ყურადღება დაეთმოთა დავასთან დაკავშირებულ სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების საშუალებებსა და განხორციელების სტრატეგიებს.

კვლევის მიზანია, რამაზ ახვლედიანის საქმესთან დაკავშირებით, გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება და არსებული ისტორია ფართო დისკუსიის საგანი გახდეს პროფესიულ წრეებსა და მედიაში. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საქმის მიმართ, მწირი ინფორმაცია მოიპვება ქართულ მედიაში. იმავდროულად, მედია გამოთქვამს შესაბამის დაინტერესებას საქმის ისტორიასთან დაკავშირებით, რასაც მოწმობს 2015 წლის 2 აგვისტოსა და 25 ოქტომბრის პრესკონფერენციების გაშუქება, მათ შორის ვრცელი საგაზეთო მასალების სახით.

ორგანიზაცია კვლევის მომზადების პროცესში მადლობას უხდის საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში ჩართულ სხვადასხვა უწყებებს. მიღებულმა ინფორმაციამ კვლევაზე მომუშავე სამართლის ჯგუფს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

⁴ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 15 ოქტომბრის პრესკონფერენცია და გავრცელებული მედია-რელიზი.

2. საკითხის სამართლებრივი მხარე

ქართული ენციკლოპედიური ლიტერატურა, თბილისის ერთ-ერთი ისტორიული მნიშვნელობის კულტურული და დასასვენებელი პარკის - ლისის ტბის შესახებ ვრცელ ინფორმაციას არ იძლევა, თუმცა წარმოდგენილი ცნობები საკმარისია შეფასებისთვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს თანამედროვე საქართველოს დედაქალაქის ყველაზე პოპულარული და ტურისტებისთვის საინტერესო ადგილის დახასიათების შესახებ. შესაბამისად, თუკი რომელიმე ჩვენთაგანი არ ფლობდა ინფორმაციას ლისის ტბის გეოგრაფიული და თვისობრივი მახასიათებლის თაობაზე, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოს გავხდით ლისის ტბასთან დაკავშირებულ მონაცემებს. კერძოდ, თბილისის ქვაბულში, ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე ლისის ტბა, უკვე 1934 წლიდან წარმოადგენს კულტურისა და დასვენების სტატუსის მქონე პარკს, თბილისის ყველაზე გამორჩეულ სარეკრიაციო ზონას, რომლის წყლის სარკის ფართობიც შეადგენს 0,47 კმ², აუზის ფართობი - 16 კმ², მაქსიმალური სიღრმე - 4 მ, მოცულობა 1,22 მლნ. მ³. როგორც ოფიციალური ლიტერატურა გადმოსცემს, ლისის ტბა საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. მაღალი დონე აქვს გაზაფხულზე, დაბალი - შემოდგომაზე, ზაფხულში კი წყალი თბილია. მისი მაქსიმალური ტემპერატურა 28°C. ზამთრობით კი ტბაზე ჩნდება ყინულნაპირისი, ზოგჯერ - ყინულსაფარიც. ტბის წყალი მომლაშოა (მინერალიზაცია 2695 მგ/ლ) და მასში მოშენებულია თევზი. ამიტომაც, აღნიშნული ადგილი საწყლოსნო სპორტისა და თევზაობის მოყვარულთათვის, ყველაზე სასურველი არჩევანია.

სახელმწიფოს მხრიდან ლისის ტბის ტერიტორიის განვითარება, მოწესრიგება და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ყოველთვის ინტერესის საგანი იყო. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ქრონოლოგიურად აღვიდგინოთ ლისის ტბის საქმესთან დაკავშირებული საკითხები, მოვლენები და სამართლებრივი კანონზომიერება, რომელიც ბოლო 17 წლის განმავლობაში, საქართველოში ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის სახელთან დაკავშირდა, მაგრამ 2003-2012 წლების მართველობის პოლიტიკამ, არამხოლოდ რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-ინტერესები, არამედ ლისის ტბის განვითარების პირვანდელი გეგმაც შეიწირა. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საერთო შეფასებებისა და შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესში, გავყვეთ ლისის ტბის სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტებს და იურიდიულად დადასტურებული გარემოებების შეფასებას, რომელმაც ახალ ვითარებაში, რამაზ ახვლედიანის კანონიერი ინტერესებისა და დარღვეული უფლებების აღდგენა უნდა მოუტანოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 7 ივნისის #445 დადგენილებით, ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი შეტანილ იქნა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში და გადაცემულ იქნა შესაბამისი სტრუქტურებისთვის, საკითხის შემდგომში შესასწავლად.

1998 წლის 14 ივლისს, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ გამოსცა #1-3/482 ბრძანება,⁵ რომლითაც განხორციელდა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ლისის ტბის გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბაზაზე რიცხული ქონების შენობა-ნაგებობების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ქონების გასხვისებაზე გამოცხადდა სახელმწიფო კონკურსი.

1998 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს #1-3/730 ბრძანების თანახმად, დამტკიცდა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი და საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, ტურიზმის დეპარტამენტის „ლისის ტბის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით ჩატარებულ კომერციულ კონკურსში,

⁵ 1998 წლის 14 ივლისის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის #1-3/482 ბრძანება „საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ლისის ტბის გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების იჯარით გამოსყიდვის ფორმით გაცემის შესახებ“.

გამარჯვებულად გამოცხადდა მოქალაქე რამაზ ახვლედიანი.⁶ აღნიშნული ბრძანების მიხედვით, რამაზ ახვლედიანმა აიღო ვალდებულება ყველა საკონკურსო პირობის შესრულებასთან დაკავშირებით და ნაცვლად გაზეთში გამოცხადებული საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასისა (30000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში), დაევალა 30500 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარებში გადახდა. ბრძანებით, სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს დაევალა რამაზ ახვლედიანთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

1999 წლის 13 აპრილს, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „ლისის ტბის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები 5 წლის განმავლობაში, 2004 წლის 13 აპრილამდე, გამოსყიდვის უფლებით.⁷ საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, რამაზ ახვლედიანს დაევალა იჯარით აღებული ქონების ღირებულების გამოსასყიდი თანხის 51% გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 49% მომდევნო 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად თანაბარი პროპორციით. ხელშეკრულებით, განისაზღვრა რამაზ ახვლედიანის ვალდებულებაც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ყოველ 6 თვეში ერთხელ ინფორმაცია მიეწოდებინა სახელმწიფოსთვის. იჯარით გაცემული ქონება დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო საიჯარო ქონების გამოყენებით შექმნილი პროდუქცია, შემოსავალი, აგრეთვე, ამ შემოსავლის ხარჯზე შექმნილი ქონება განისაზღვრა რამაზ ახვლედიანის საკუთრებად. ხელშეკრულებით აღიარებულ იქნა, რომ რამაზ ახვლედიანის უფლებები საიჯარო ხელშეკრულებით აღებულ ქონებაზე დაცული იქნა მესაკუთრის ტოლფასი უფლებებით. 1999 წლის 13 აპრილსავე მხარეთა შორის გაფორმდა „ლისის ტბის გამაჯანსაღებელი კომპლექსის“ მიღება-ჩაბარების აქტი. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რამაზ ახვლედიანს კონკურსის შედეგად გადაეცა მხოლოდ შენობა-ნაგებობები და არა ის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც აღნიშნული შენობა-ნაგებობები იყო აღმართული, რადგანაც იმჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთების პრივატიზაციას და მის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემას.

2000 წლის შემოდგომამდე, რამაზ ახვლედიანმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ლისის ტბის ერთი მხრივ, გადარჩენის, მეორე მხრივ კი განვითარებისათვის, რადგანაც საქმის მასალებიდან თვალსაჩინოა ბიზნესმენის წინაშე არსებული სირთულეები და ბუნებრივი-გარემო გამოწვევები, რომელიც ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში წარმოიშვა. კლიმატური და სხვა გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად, ტბაში წყლის დონის კლებამ კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია. მოიმატა ტბის მინერალიზაციამ, შემცირდა ჟანგბადის რაოდენობა, ტბაში დაიწყო იქთიოფაუნისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის პროცესი, ტბა აღმოჩნდა გაქრობის საშიშროების წინაშე. ყოველივე ამან გამოიწვია ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე კლიმატის შეცვლაც და არსებულმა გამწვანებამ ხმოზა დაიწყო. რამაზ ახვლედიანის ძალისხმევით, მოწვეულ იქნა ჰიდროლოგები, ჰიდროგეოლოგები, ჰიდროტექნიკოსები და სხვა დარგის სპეციალისტები, სადაც ქ. თბილისის მერიისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხრიდან ჩართული იყვნენ სანიტარული ინსპექციისა და გარემოს მონიტორინგის ცენტრის სამსახურები. შესწავლილი და შემუშავებული იქნა ლისის ტბის წყლით შევსების რამდენიმე პროექტი (მდ. მტკვარი, მდ. ვერე, მდ. დიღმულა). ასევე, შესწავლილ იქნა ტბის გარშემო არსებული ტერიტორია არსებული წყლების მარაგებით. როგორც თბილისის მერიამ, ასევე სამინისტრომ, უპირატესობა მიანიჭეს ნუცუბიძის პლატოზე აღმოჩენილ გრუნტის წყლებს. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 105 000 ლარი, მოეწყო სატუმბო სადგური. მოცემულ პერიოდში, მოგვარდა საკითხთან დაკავშირებული იურიდიული ხასიათის დოკუმენტაციაც.

⁶ 1998 წლის 24 ნოემბრის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის #1-3/730 ბრძანება „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის (#24 20.11.98 წ) ოქმის დამტკიცების შესახებ“.

⁷ 1999 წლის 13 აპრილის საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება.

რამაზ ახვლედიანის მხრიდან კოლოსარული ხასიათის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. ტბას წყლის სარკის ზედაპირი დაუბრუნდა მის ბუნებრივ ნიშნულს, ხოლო მოგვიანებით ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა დადასტურეს, რომ ტბაში შემცირდა წყლის მინერალიზაცია, მასში მოიმატა ჟანგბადის რაოდენობამ, ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხერხდა მწვანე ნარგავების შენარჩუნებაც. ლისის ტბა ეკოლოგიურად გადარჩა და რამაზ ახვლედიანმა მისი შემდგომი განვითარების გეგმაზეც აქტიურად დაიწყო მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2000 წლის 27 სექტემბერს, მიღებული შედეგების გათვალისწინებით, განსახორციელებელი სამუშაოების ჩატარების, ტბის წყლის მუდმივი მონიტორინგის ქვეშ ყოფნისა და და ტბით შემდგომ წყალსარგებლობაზე შესაბამისი რეჟიმის დამყარების მიზნით, შპს „ტურისტულ - გამაჯანსაღებელ კომპლექს ლისის ტბას“ მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მოპოვებულ იქნა „საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის“ ლიცენზია. ლისის ტბაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საჭირო გახდა დასვენებისა და გართობისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენის უზრუნველყოფა.

2001 წლის შემოდგომაზე, რამაზ ახვლედიანის „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბამ“ ქალაქ თბილისის მერიას წინადადებით მიმართა და ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მიერ ფაქტიურად დაკავებულ ტერიტორიაზე (63,5 ჰა, სადაც დაახლოებით 57 ჰა. შეადგენდა გამწვანებულ მასივს) შესთავაზა კომპლექსის განვითარების ახალი გეგმა ტურისტულ - გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და კულტურულ სანახაობითი ცენტრის შექმნის შესახებ, ვინაიდან განვლილი წლების განმავლობაში, ეტაპობრივად, ტბაში წყლის დონის მატებასთან და მისი მახასიათებლების შესწავლასთან ერთად, ტბაში ჩაშვებულ იქნა რამოდენიმე ასეული ათასი კობრისებრთა ოჯახის წარმომადგენელი სხვადასხვა ჯიშის ლიფსიტა, რომლებიც თავისუფლად შეეგუვნენ ტბაში არსებულ პირობებს, მოხდა ობიექტის გათევზიანება, საჭირო გახდა ლისის ტბის ტერიტორიაზე ახალი შესაძლებლობების გაჩენის უზრუნველყოფა. რამაზ ახვლედიანის წინადადებას ქ. თბილისის მთავრობამ მხარდაჭერა გამოუცხადა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2002 წლის 24 იანვრის #01.25.23 დადგენილების შესაბამისად,⁸ ლისის ტბის კულტურისა და დასვენების პარკის სამართალმემკვიდრეს - შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბას“ ნება მიეცა, სამეურნეო წესით დაემუშავებინა ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის განვითარებისა და კეთილმოწყობის დეტალური დაგეგმარების პროექტი. დადგენილებით, ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორს დაევალა, კომპანიისთვის ქმედითი დახმარების აღმოჩენა აღნიშნული საქმის განხორციელებაში და შემოქმედებითი ზედამხედველობის უზრუნველყოფა. ვინაიდან განვლილი წლების განმავლობაში, ეტაპობრივად, ტბაში წყლის დონის მატებასთან და მისი მახასიათებლების შესწავლასთან ერთად, შპს-ს სახსრებით ტბაში ჩაშვებულ იქნა რამოდენიმე ასეული ათასი კობრისებრთა ოჯახის წარმომადგენელი სხვადასხვა ჯიშის ლიფსიტა, რომლებიც თავისუფლად შეეგუვნენ ტბაში არსებულ პირობებს, მოხდა ობიექტის გათევზიანება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბამ“, 2003 წელს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, კონკურსის წესით მოიპოვა თევზჭერი მეურნეობის შექმნისთვის საჭირო გარემოსდაცვითი ნებართვა, რომლის მიზანსაც ტბაში იქთიოფაუნის აღდგენა, წყალში ეკოლოგიური რეჟიმის დამყარება და სამოყვარულო-სპორტული თევზჭერის განვითარება და მისი შემდგომი პოპულარიზაცია გახლდათ.

2004 წლიდან ლისის ტბის ინტერესების დაცვა და საქმიანობის გაგრძელება, რამაზ ახვლედიანს საქართველოში შეცვლილ ხელისუფლებასთან და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ახალ ხელმძღვანელობასთან მოუხდა. შესაბამისად, ბიზნესმენის საქმიანობაში 2004 წლიდან განვითარებული მოვლენები, მისი დრამატული ქრონოლოგიით, ცალკე ყურადღებას იმსახურებს. 2004 წლის 27 მაისს, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის

⁸ ქალაქ თბილისის მთავრობის 2002 წლის 24 იანვრის #01.25.23 დადგენილება „ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ტბის“ მიმართ გაიცა პროექტირების შესახებ დავალება. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ „ლისის ტბის სარეალიზაციო სამუშაოების ჩატარებამ უნდა მოგვეცეს საშუალება საწყალოსნო ბაზის ჩამოყალიბებისათვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, პლიაჟები, ატრაქციონები, ბისტროს ტიპის სასაუზმეები, სანაყინეები, გამჭირავებელი პუნქტები, სპორტთევაზობა, სამაშველო სამსახურები და სხვა. გათვალისწინებულ იქნას ოჯახური დასვენების მოყვარულთათვის კოტეჯური ტიპის სასტუმროების აშენება, მცირე ტიპის სასტუმრო თავისი ინფრასტრუქტურით. მოეწყოს ღია ტიპის ამფიტეატრი და სხვადასხვა სანახაობითი ობიექტები კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად. კომპლექსის კეთილმოწყობამ და მოდერნიზაციამ, ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად გამოყენებით, აგრეთვე მომსახურებისა და დასვენება-გართობის ობიექტების (თანამედროვე ტექნოლოგიებიდან გამომდინარე) ფაქტორებმა უნდა უზრუნველყონ, როგორც ქალაქის, ასევე მისი სტუმრების მაღალი დონის მომსახურება“. სწორედ აღნიშნული თანხმობის შემდგომ, შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ ადმინისტრაციამ საპროექტო ჯგუფს მისცა შესაბამისი დაკვეთა, რათა შემჭიდროვებულ ვადებში მომხდარიყო კომპლექსის განვითარების ზონალური დაგეგმარების, გეგმისა და მაკეტის დამზადება.

2004 წლის ივნისში, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ მიმართ გაცემული პროექტირების შესახებ დავალებიდან ერთ თვეში, ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანსა და ქ. თბილისის ვიცე-მერ თემურ ქურხულს შორის, თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, თბილისის ვიცე-მერის ინიციატივით, შედგა შეხვედრა, საუბარი კი ლისის ტბის მდგომარეობას, მიმდინარე საქმიანობასა და დაგეგმილ სიახლეებს შეეხო. როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ შეტანილ საჩივარში რამაზ ახვლედიანი გადმოსცემს, თბილისის ვიცე-მერის მხრიდან შეხვედრაზე თემურ ქურხულსიგან მიიღო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ლისის ტბის განვითარების მიმართ დაინტერესებას გამოხატავდნენ ჰოლანდიელი ინვესტორები. რამაზ ახვლედიანის გადმოცემით, თბილისის ვიცე-მერმა საკითხს უწოდა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი და ბიზნესმენს სთხოვა, თანამშრომლობაში ზედმეტი პრობლემები არ შეექმნა. რამაზ ახვლედიანის თქმით, თბილისის ვიცე-მერმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკითხის პირდაპირი ინტერესი მომდინარეობდა ე.წ. „პირველიდან“ და ნაგულისხმევი გახლდათ საქართველოს პირველი პირი - პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. რამაზ ახვლედიანი თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის ვიცე-მერთან შეხვედრა განმეორებით, 2-3 დღის ინტერვალის შემდეგ, კვლავ მოხდა, რადგანაც ლისის ტბის შემდგომი განვითარების საქმეში, უცხოელი ინვესტორის წინააღმდეგი არ ყოფილა. რამაზ ახვლედიანის გადმოცემით, თემურ ქურხულის კაბინეტში ხელმეორედ შეხვედრაზე, ჰოლანდიელი ინვესტორების ნაცვლად, პოტენციური ბიზნეს-პარტნიორების სახით, მას დახვდნენ კომპანია „ჯიარდისის“ სახელით მამუკა ხაზარაძე და საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია - GRDC-ის გენერალური დირექტორი, ირაკლი კილაურიძე. რამაზ ახვლედიანის აღწერილობით, იქედან გამომდინარე, რომ არსებობდა ლისის ტბის დაკარგვის საფრთხე, ხოლო მისი განვითარება პარტნიორულ დონეზე ალტერნატივის გარეშე აღმოჩნდა, ბიზნესის სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, დაიწყო კონსულტაციებისა და წინადადებების განხილვის ეტაპი.

2004 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმდა შედარების აქტი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკური სამინისტროს მთავარმა ბუღალტერმა ნანა მგალობლიშვილმა და მეორეს მხრივ, რამაზ ახვლედიანმა მოვახდინეთ ურთიერთშედარება, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ 13,04,99 წელს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, „მოიჯარის“ მიერ გადახდილია საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „ლისის ტბის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების სრული ღირებულება“.⁹ შესაბამისად, დოკუმენტით აღიარებულ იქნა, რომ რამაზ ახვლედიანმა კეთილსინდისიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, გადაიხადა

⁹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის 2004 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული შედარების აქტი.

გამოსასყიდი თანხა - 60416,43 ათასი ლარი და იჯარა - 13962,14 ათასი ლარი. ამდენად, სახელმწიფოს რამაზ ახვლედიანისთვის საკუთრებაში უნდა გადაეცა აღნიშნული ქონება, როგორც ეს იჯარის ხელშეკრულებით იქნა შეთანხმებული და პირობადადებული.

2004 წლის დეკემბერში, რამაზ ახვლედიანსა და ლისის ტბის პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი დასრულდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ლისის ტბის საერთო მართვასთან დაკავშირებით. 2004 წლის 6 დეკემბერს, ფიზიკური პირის სტატუსით, რამაზ ახვლედიანსა და შპს „თბილისის უძრავი ქონების“ დირექტორ ირაკლი კილაურიძეს შორის გაფორმდა განზრახულობათა ოქმი.¹⁰ განზრახულობათა ოქმის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დააფუძნებდნენ სააქციო საზოგადოება „ლისის ტბას“. მისი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 6,000,000 ლარის ოდენობით და დაიყო 6,000,000 მილიონ ჩვეულებრივ აქციად. შესაბამისად, თითოეული აქციის ნომინალური ფასი შეადგენდა ერთ ლარს. საწესდებო კაპიტალის შესავსებად, შპს „თბილისის უძრავ ქონებას“ უნდა შეეტანა 4 მილიონი, რისთვისაც ის მიიღებდა 4 მილიონ აქციას, ხოლო რამაზ ახვლედიანს უნდა საწესდებო კაპიტალის შევსება უნდა მოეხდინა ქონებრივი შენატანის სახით. კერძოდ, რამაზ ახვლედიანი იღებდა ვალდებულებას შეეტანა ლისის ტბის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის 63,5 ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები მის საკუთრებაში გადაფორმებისთანავე, რისთვისაც მიიღებდა ს.ს „ლისის ტბის“ 2 მილიონ აქციას. მართალია, განზრახულობათა ოქმის გაფორმების დროისთვის, ლისის ტბის მიმდებარე მიწის ნაკვეთი 63,5 ჰა, არ იყო რამაზ ახვლედიანის საკუთრება, თუმცა განზრახულობათა ოქმის მიხედვით, რამაზ ახვლედიანმა განაცხადა, რომ ვინაიდან მან იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გამოისყიდა ლისის ტბის გარშემო მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობები, მას გააჩნდა უფლება გამოეყიდა ლისის ტბის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთი - 63,5 ჰა. გამოსყიდვის უფლება ბიზნესმენს გააჩნდა „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „თბილისის უძრავი ქონება“ მის საკუთრებაში არსებულ ს.ს „ლისის ტბის“ აქტივებიდან რამაზ ახვლედიანის მიმართ გასცემდა სესხს, რომ ლისის ტბის მიმდებარე 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა მომხდარიყო და ქონება ასახულიყო ს.ს „ლისის ტბის“ საწესდებო კაპიტალში. სანაცვლოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ს.ს „ლისის ტბის“ შექმნის დღეს, რამაზ ახვლედიანი შპს „თბილისის უძრავ ქონებას“ დაუთმოდა მის 2/3 (66,6835%) წილს, რომელიც მას ჰქონდა შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექს ლისის ტბაში“. ასევე, განზრახულობათა ოქმში აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო, რამაზ ახვლედიანი ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (63,5 ჰა) გამოსყიდვას და ს.ს „ლისის ტბის“ საწესდებო კაპიტალში შეტანას, შპს „თბილისის უძრავი ქონება“ ვალდებული იყო დაებრუნებინა რამაზ ახვლედიანისთვის შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექს ლისის ტბის“ 2/3 (66,6835%) წილი, რომელიც ბიზნესმენმა პარტნიორ კომპანიას გადასცა. როგორც რამაზ ახვლედიანი საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ საჩივარში აღნიშნავს, მხარეთა შორის გაფორმებული განზრახულობის ოქმის შემდგომ პერიოდში, ლისის ტბის საქმეში კომპანიონმა, ბიზნესმენმა მამაუკა ხაზარაძემ თბილისის მერთან და თბილისის მთავარ არქიტექტორთან ერთად, მიიწვია ინგლისში, სადაც დათვალიერებულ იქნა ადგილები, რომლის ანალოგის გაჩენასაც, ბიზნეს-პარტნიორები, ლისის ტბის ტერიტორიაზე აპირებდნენ.

2005 წლის იანვარში, მხარეთა შორის ხელმოწერილი განზრახულობათა ოქმის შესაბამისად, დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ლისის ტბა“. ახალი კომპანიის სახელით, დაიწყო ახალი გეგმის დამუშავებაც, რომელშიც კომპლექსზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი არ იყო საკმარისი. შესაბამისად, მომზადდა შესაბამისი წინადადება, პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას. 2006 წლის 28 თებერვალს, საქართველოს მთავრობამ მიიღო #48 დადგენილება „ლისის ტბის

¹⁰ 2004 წლის 6 დეკემბრის განზრახულობათა ოქმი მოქალაქე რამაზ ახვლედიანსა და შპს „თბილისის უძრავი ქონებას“ შორის, სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის #9899/1

განვითარების პროექტის განსახორციელებლად მიწის განკარგვის თანხმობის მიცემის შესახებ“.¹¹ ასევე, საქართველოს მთავრობამ 2006 წლის 1 აპრილს მიიღო #152 განკარგულება¹² „ლისის ტბის განვითარების პროექტის განხორციელებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდიდან მიწის ფართობის ამორიცხვის შესახებ“.

2006 წლის 14 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #382 განკარგულება „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“.¹³ პრეზიდენტის აღნიშნული განკარგულებით, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63.5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა ფიზიკური პირის სტატუსით რამაზ ახვლედიანს, ხოლო 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ასევე პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრებაში გადაეცა ახლადდაფუძნებულ ს.ს „ლისის ტბას“. პრეზიდენტის განკარგულებაში აღნიშნულია, რომ რამაზ ახვლედიანისთვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემული საკუთრებით დაკმაყოფილდა ქალაქ თბილისის მერიის წინადადება, ხოლო ს.ს. „ლისის ტბის“ შემთხვევაში, მცხეთის გამგეობის წინადადება. პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო შემდეგი ვალდებულებების დაკმაყოფილება:

- მიწის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე ლისის ტბის რეაბილიტაციის დაწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე ლისის ტბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და ამ მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- მიწის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი სამსახურებისგან ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენიდან (არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მიღებიდან) 12 თვის ვადაში ლისის ტბის კომპლექსის განვითარების პროექტის მომზადება;
- პროექტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმება-დამტკიცებისა და ძირითად ობიექტებზე მშენებლობის ნებართვების მიღებისთანავე - მშენებლობის დაწყება და მისი დასრულება არაუგვიანეს 2014 წლის დეკემბრისა. მათ შორის, დამსვენებელთა ზონის მოწყობა, კვების ობიექტების, საცხენოსნო კომპლექსის, დასასვენებელი კოტეჯების, SPA კომპლექსისა და სასტუმროს აშენება.

2006 წლის 22 სექტემბერს, რამაზ ახვლედიანმა განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს და ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის 63,5 ჰა. ნორმატიულ ფასად შესყიდვა მოითხოვა.¹⁴ რამაზ ახვლედიანი განცხადებაში დაეყრდნო ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21/09/06 წერილს, რომელიც მიუთითებდა, რომ ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის 63,5 ჰა. მიწის ნაკვეთი მდებარეობს 53-ე ქვეზონაში და შესაბამისად, თბილისში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთი კვ.მ. მიწის ნორმატიული ფასი შეადგენდა 12 ლარს.¹⁵ ამასთან, რამაზ ახვლედიანს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან 2006 წლის 15 სექტემბერს ეცნობა, რომ ლისის ტბის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 632907 კვ.მ.

¹¹ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 თებერვლის დადგენილება #48 „ლისის ტბის განვითარების პროექტის განსახორციელებლად მიწის განკარგვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

¹² საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის #152 განკარგულება „ლისის ტბის განვითარების პროექტის განხორციელებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდიდან მიწის ფართობის ამორიცხვის შესახებ“.

¹³ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულება „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“.

¹⁴ რამაზ ახვლედიანის 2006 წლის 25 სექტემბრის განცხადება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენიას მიმართ, განცხადების რეგისტრაციის #1486/5-6

¹⁵ 2006 წლის 21 სექტემბრის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის, ზ. ელიზბარაშვილის წერილი #ა-251

მიწის ფართობის ნორმატიული ფასი, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 31 მარტის #4-5 გადაწყვეტილების შესაბამისად, მიეკუთვნებოდა მე-40 ქვეზონას და შეადგენდა 10 759 419 ლარს.¹⁶

2006 წლის ოქტომბერში, ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის საქმიანობასა და ბიზნეს-გეგმებში, ლისის ტბის მომავალთან დაკავშირებით, თითქმის ყველაფერი შეიცვალა. როგორც რამაზ ახვლედიანის მთავარი პროკურატურის მიმართ წარდგენილ საჩივარშია გადმოცემული, მასთან სატელეფონო კომუნიკაცია შედგა ფინანსური პოლიციიდან, მოითხოვეს ბიზნესმენის ადგილზე მისვლა ლისის ტბის საქმესთან არსებულ კითხვებთან დაკავშირებით. რამაზ ახვლედიანი გამოცხადდა ფინანსურ პოლიციაში და შეხვდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს მე-2 განყოფილების უფროსს, გიორგი ხ.-ს. რამაზ ახვლედიანს ლისის ტბასთან დაკავშირებით, მოსთხოვეს წარმოედგინა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია (საიჯარო ხელშეკრულება, შედარების აქტი, განზრახულობათა ოქმი, სხვა). ამ პირველ შეხვედრას რამაზ ახვლედიანთან ერთად, ფინანსურ პოლიციაში, აგრეთვე დაესწრო ს.ს. „ლისის ტბის“ ხელმძღვანელი რუსუდან ფანცულაია და საფინანსო სამსახურის მენეჯერი დავით კვინიკაძე. შემდგომი შეხვედრებისას გამომძიებლები და სამსახურის სხვა თანამშრომლები, მოქალაქისთვის დამამცირებელი ტონით ამბობდნენ, რომ თითქოსდა რამაზ ახვლედიანის მიმართ არსებობდა აღძრული საქმე, თითქოსდა ბიზნესმენი იყო თაღლითი და მას შეგნებულად ჰყავდა პრეზიდენტი შეცდომაში შეყვანილი და სხვა. როგორც საჩივარშია აღნიშნული, ფინანსურ პოლიციაში შეხვედრას, აგრეთვე დაესწრო ს.ს. „ლისის ტბის“ ხელმძღვანელი რუსუდან ფანცულაია. რამაზ ახვლედიანს ფინანსურ პოლიციაში მოსთხოვეს კონკურსის წესით შეძენილი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას და მის ოჯახს მნიშვნელოვანი უსიამოვნებები შეხვდებოდათ. ბიზნესმენმა ადგილზე განაცხადა, რომ ქონების დათმობას არ აპირებდა, რადგანაც ჰყავდა ბიზნეს-პარტნიორები, მათ შორის მამუკა ხაზარაძე, რომელთანაც არსებობდა ვალდებულებები და სახელშეკრულებო ურთიერთობები. საჩივარში ჩანს, რომ შეხვედრის შემდეგ, რამაზ ახვლედიანის მიმართ ფინანსური პოლიციის მხრიდან სატელეფონო კონტაქტი გახდა სისტემატური. ცალკეული ზარი ემსახურებოდა ბიზნესმენის ადგილმდებარეობის დადგენის ინტერესს. აღნიშნულის ზარის საფუძველზე, შემდგომ პერიოდშიც, რამაზ ახვლედიანი რამდენჯერმე იქნა დაბარებული საგამოძიებო უწყებაში. ბიზნესმენის მხრიდან მიწოდებულ იქნა ლისის ტბის შეძენასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტები, რომელიც ისედაც ხელმისაწვდომი გახლდათ სამთავრობო დაწესებულებებში, მაგრამ რამაზ ახვლედიანისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა 2006 წლის 4 ნოემბრის ზარი, რა დროსაც საგამოძიებო უწყებაში მისვლა დაუყოვნებლივ მოსთხოვეს. ბიზნესმენი სატელეფონო შეტყობინების დროს, შაბათ დღეს, მიემგზავრებოდა ოჯახის ახლობლის ქორწილში, რის გამოც უწყების წარმომადგენელს სთხოვა, შეხვედრა ორშაბათისთვის შემდგარიყო, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღო. რამაზ ახვლედიანს აცნობეს, რომ თუკი საგამოძიებო უწყებაში საწარფოდ არ გამოცხადდებოდა, მაშინ თავად ამ უწყების წარმომადგენლები მივიდოდნენ ბიზნესმენთან. რამაზ ახვლედიანი ფინანსურ პოლიციაში გამოცხადდა, რომელიც ყვირილით შეხვდა სამსახურის მაშინდელი უფროსის, დავით კეზერაშვილის მოადგილე გელოვანი, ბიზნესმენი დაგვიანებით მისვლის გამო დასაჯეს და ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. საგამოძიებო უწყების ხელმძღვანელმა პირებმა რამაზ ახვლედიანს პირდაპირ მოსთხოვეს, ქონების დათმობის თაობაზე განცხადება დაეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში თაღლითობის მუხლით დაიჭრებდნენ და მასთან ერთად, დააპატიმრებდნენ ბიზნესმენის უახლოეს ადამიანებსაც. როგორც ბიზნესმენის საჩივარშია გადმოცემული, რამაზ ახვლედიანს აცნობეს, რომ არსებობდა პრეზიდენტის დავალება ფინანსური პოლიციის მაშინდელი უფროსის მოადგილის მიმართ, თუკი 4 ნოემბერს არ მოხდებოდა რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-საკუთრების დათმობა, ბიზნესმენთან ერთად დაიჭრებდნენ ფინანსური პოლიციის მაშინდელი უფროსის მოადგილესაც. რამაზ ახვლედიანის საგამოძიებო უწყებაში დაყოვნება და ე.წ. დაკითხვა გაგრძელდა დღის 12:00 საათიდან ღამის 02:00 საათამდე. ბიზნესმენი იძულებული გახდა დაეწერა განცხადება ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს

¹⁶ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას 2006 წლის 15 სექტემბრის #21/689 წერილი.

მთავრობის მიმართ და უარი ეთქვა ბიზნეს-ქონებაზე და სახელმწიფოსთვის დაეთმო. განცხადების დაწერის შემდგომ, ღამის 03:00 საათისთვის რამაზ ახვლედიანი და მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს მე-2 განყოფილების უფროსი, გიორგი ხ. ერთად გაემგზავრნენ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სანოტარო ბიუროში, სადაც განცხადება ქონების დათმობის შესახებ, სანოტარო მოქმედებით დამოწმდა.¹⁷

2006 წლის 4 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანის მიერ ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს მთავრობის მიმართ დაწერილ განცხადებაში ვკითხულობთ: „მოგეხსენებათ, რომ 1999 წლის 13 აპრილს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და ჩემს შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულებები გამოსყიდვის უფლებით საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „ლისის ტბის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (შენობა-ნაგებობების ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წელი). ხელშეკრულების 2.5 მუხლის საფუძველზე, მე სრულად გადავიხადე იჯარით აღებული ქონების გამოსასყიდი თანხა (60416,43 ლარი), რაც დასტირდება ჩემსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მთავარ ბუღალტერს შორის 04.10.04 წ. გაფორმებული #29 შედარების აქტით. აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონება საკუთრებაში რეგისტრირებული არ მაქვს. როგორც საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის განკარგულებით ჩემს მიმართ გათვალისწინებული იყო რიგი ვალდებულებები უძრავი ქონების შემდგომი აღორძინებისა და განვითარების მიზნით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ვალდებულებები ვერ შევასრულე სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გააუქმოთ ჩემსა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის 1999 წლის 13 აპრილს დადებული საიჯარო ხელშეკრულებები და კომპენსაციის მიზნით, უკან დამიბრუნოთ ჩემს მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის მიზნით გადახდილი თანხა. უარს ვამბობ, აგრეთვე პრეზიდენტის განკარგულებით ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზე“ (სტილი დაცულია). ცნობისთვის: ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიმართ, არც 2015 წლის ნოემბრისთვის მდგომარეობითაა დაბრუნებული საკომპენსაციო თანხა, რაც შეეხება განცხადების სამართლებრივი შეფასების ნაწილს, ორგანიზაცია დასკვნით ნაწილში შემოგთავაზებთ.

2006 წლის 10 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანის მიერ სახელმწიფოსთვის პირადი განცხადების საფუძველზე ლისის ტბის ქონების დათმობიდან მე-6 დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #713 განკარგულება¹⁸ და ძალადაკარგულად გამოაცხადა პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულება „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“. პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის განკარგულების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი გახდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის დეფინიციაა: „დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულებები“.

2007 წლის 31 იანვარს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/171 ბრძანება „დამატებითი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებული შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 3 184 452 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და გზის მარცხენა მხარეს არსებული შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული 353 895 კვ.ნ. მიწის ნაკვეთი დამტკიცებული იქნა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

¹⁷ 2006 წლის 4 ნოემბრის რამაზ ახვლედიანის ქონების დათმობის შესახებ განცხადების ნოტარიულად დამოწმების აქტი, რეგისტრირებულია რეესტრში: 1-11558, ნოტარიუსი: ნ. ბერიძე.

¹⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულება პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

პრივატიზების დეპარტამენტს დაევალა ობიექტების პრივატიზების ორგანიზება.¹⁹ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარეობდა ლისის ტბის ის ნაკვეთებიც, რომელიც ჩამოერთვა რამაზ ახვლედიანსა და სს „ლისის ტბას“.

2007 წლის 16 აპრილს, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/605 ბრძანება „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებული შენობა-ნაგებობების და მათზე დამაგრებული 3184452 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არსებული შენობა-ნაგებობების და მასზე დამაგრებული 353895 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აუციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“.²⁰ ბრძანებით, ობიექტის საწყის საპრივატიზებო ფასად განისაზღვრა 26 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, „ბე“-ს ოდენობად დადგინდა 2 650 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, ხოლო ბიჯის ოდენობად 20 000 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში.

2007 წლის 17 მაისს გაიმართა აუქციონი, სადაც მონაწილეობდა 4 იურიდიული პირი: შპს „ლისი-2007“ (დირექტორი ირაკლი კილაურიძე, უფლებამოსილი წარმომადგენელი მამუკა ხაზარაძე), შპს „ნიმროდი-საქართველო“ (უფლებამოსილი წარმომადგენელი ლაშა გოგიბერიძე), შპს „ლისი-ინვესტმენტი“ (უფლებამოსილი წარმომადგენელი ალბერ ალჰადეფი) და შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო საზოგადოება „აი-აი-სი იელოუ ზ.ვ.“ (უფლებამოსილი წარმომადგენელი აბრამ როიხმანი). როგორც მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2007 წლის 17 მაისის #15 ოქმში ვკითხულობთ,²¹ „მონაწილეების მიერ პერიოდულად ხდებოდა დაფების აწევა, ხოლო მას შემდეგ, რაც #1 მონაწილემ მამუკა ხაზარაძემ დაფა ასწია 17 სთ. 40 წთ, გასაყიდ ფასად დაფიქსირდა 182 000 000 (ასოთხმოცდაორი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში“. შედეგად, აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლისი-2007“.

2007 წლის 22 მაისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/770 ბრძანება,²² რომლის მიხედვითაც, დამტკიცდა მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2015 წლის 17 მაისს ჩატარებული აუქციონის ოქმი #15. როგორც ბრძანებაში, ასევე ოქმშიც, შპს „ლისი-2007“-ის მიერ აღებულ იქნა ობიექტთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებები. კერძოდ, შპს „ლისი-2007“ ვალდებული იყო ობიექტის გამოსასყიდი ღირებულება გადაეხადა 1 წლის განმავლობაში - პირველი ნაწილი (50%) 6 თვის და მეორე ნაწილი (50%) მომდევნო 6 თვის განმავლობაში. ასევე, შპს „ლისი-2007“ ვალდებული იყო მოეხდინა ობიექტზე საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-განვითარება და ეკოლოგიურად სუფთა დასახლების მშენებლობა, რისთვისაც 5 წლის განმავლობაში, უნდა მოეხდინა მინიმუმ 25 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. ობიექტზე უნდა განეხორციელებინა საზოგადოებრივ-გასართობი, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა, მინიმუმ 4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტირებით და სხვა.

2007 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/1546 ბრძანება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 22.05.07 წლის #1-1/770 ბრძანების მე-2 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.²³ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა

¹⁹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის #1-1/171 ბრძანება „დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

²⁰ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 16 აპრილის #1-1/605 ბრძანება „აუციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“.

²¹ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2007 წლის 17 მაისის #15 ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 22 მაისის #1-1/770 ბრძანებით.

²² საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 22 მაისის #1-1/770 ბრძანება „სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 17.05.07 წ. #15 ოქმის დამტკიცების შესახებ“.

²³ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-1/1546 ბრძანება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 22.05.07 წლის #1-1/770 ბრძანების მე-2 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

2007 წლის 17 მაისს ჩატარებული აუქციონის შედეგები, ძალადაკარგულად გამოცხადდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც შპს „ლისის-2007“-მა გაიმარჯვა აუქციონში, გადაეცა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები და დაევალა ცალკეული ვალდებულებების შესრულება. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ შპს „ლისის-2007“-ს არ დაუბრუნდეს „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა 2 650 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში. სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, რომ შპს „ლისის - 2007“-ის მიერ არ მომხდარა აუქციონზე დასახელებული საბოლოო ფასის შესაბამის საბანკო ანგარიშზე ასახვა. ამასთან, 2007 წლის 10 ოქტომბრისთვის, გამარჯვებულ კომპანიას სახელმწიფოსთან არც შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება აღმოაჩნდა გაფორმებული.

2008 წლის 5 მარტს, შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ დირექტორმა ირაკლი კილაურიძემ (რომელიც წარმოადგენდა შპს „ლისის 2007“-ის დირექტორს, 2007 წლის 17 მაისის მდგომარეობით, როდესაც აღნიშნულმა კომპანიამ მოიგო აუქციონი) მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და განმარტა, რომ „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია, უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ლისის ტბის განვითარების პროექტზე, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ლისის ტბის ტერიტორიის მიმდებარე მონაკვეთი, დაახლოებით 355 ჰექტარი თავისუფალია განაშენიანებისგან, გარემო კეთილმოუწყობელი და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სივრცე ფუნქციით გამოუყენებელი, რის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ტერიტორიის მიმართ საკუთრების ინტერესების უქონლობა“. წერილში ნათქვამია, რომ კომპანია მიზანდ ისახავს ლისის ტბის ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 355 ჰა-ზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-გასართობი, სავაჭრო და სპორტული ობიექტების მშენებლობას. პირველ ფაზაში, დაახლოებით 110 ჰა-ზე, ახალი საცხოვრებელი უბნისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამ მიზნით, 4 წლის განმავლობაში, კომპანია განახორციელებდა 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას. კომპანიის დირექტორი სამინისტროს მიმართავდა წინადადებით, მომხდარიყო შუამდგომლობა საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ლისის ტბის ტერიტორიის მიმდებარე, დაახლოებით 110 ჰექტარის „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის შესახებ.²⁴ აგრეთვე, წერილში სამინისტროს ეთხოვა, რომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის დაახლოებით 245 ჰექტარზე კომპანიასთან გაფორმებულიყო ოფციის ხელშეკრულებაც.

2008 წლის 12 მარტს, საქართველოს მთავრობის #111 განკარგულებით, მოწონებულ იქნა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი.²⁵ ამავე დღეს, განკარგულების პროექტი შემდგომი მსვლელობისთვის გაგზავნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.²⁶

2008 წლის 12 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის #181 განკარგულებით²⁷ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგს“, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 45 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად გადაეცა ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ.

²⁴ შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორ ირაკლი კილაურიძის 2008 წლის 5 მარტის #01/3/05 წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ ეკა შარაშიძის მიმართ, სამინისტროში რეგისტრაციის #559/9-8.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის #111 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

²⁶ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის #2/50 წერილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ.

²⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 12 მარტის #181 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 60 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 1 041 798 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. განკარგულების მიხედვით, შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგს“ საპრივატიზებო თანხა უნდა გადაეხდა ნაწილ-ნაწილ. პირველი ნაწილი (25 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი) - ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 კალენდარულ დღეში, ხოლო მეორე ნაწილი (20 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი) - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში. ამავე დროს, გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, 4 წლის განმავლობაში, უნდა მოეხდინა არანაკლებ 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო 2 წლის განმავლობაში - არანაკლებ 10 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია მიწის ნაკვეთების მრავალფუნქციური განაშენიანების მიზნით.

2008 წლის 18 მარტს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/330 ბრძანება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“, ხოლო მომდევნო დღეს, 19 მარტს, სამინისტროსა და შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება.²⁸ აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამინისტრომ წერილობითი თანხმობა გამოხატა შპს „მექანომონტაჟი - 2001“-სა და შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ შორის გაფორმებულიყო მოთხოვნილი ოფციონის ხელშეკრულებაც, რომელიც მხარეთა შორის, აგრეთვე გაფორმდა 19 მარტს. სახელმწიფოსა და კომპანია „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგს“ შორის ურთიერთობები შემდეგნაირად გაგრძელდა: 2009 წლის 23 იანვარს, შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ დირექტორმა ენტონი ჯეიმს ფილიფსონმა წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და აცნობა, რომ კომპანიას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, მისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთი გამოყენებულ ყოფილიყო ს.ს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალის, „ჯი არ დი სი 3 ბვ“-ს, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ბობ მეიერის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელთა მიერ კომპანიისთვის გაცემული სესხების დაბრუნების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. მამუკა ხაზარაძე (33.33000000%), ბადრი ჯაფარიძე (33.33000000%) და ბობ მეიერი (33.34000000%) წარმოადგენენ შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ პარტნიორებს. სწორედაც 2008 წლის 10 მარტს, ს.ს. „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალის მიერ შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ მიმართ საბანკო გარანტიის სახით გაცემულ იქნა 5 მილიონი აშშ დოლარი და გარანტიის ვადად შეთანხმებულ იქნა პერიოდი 2008 წლის 16 აპრილის ჩათვლით.

2010 წლის 17 მაისს #1-05/10, შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ დირექტორმა ზეზვა ცისკარიშვილმა წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, იმის შესახებ, რომ ვალდებულებას, რომელის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთზე 4 წლის განმავლობაში უნდა განეხორციელებინა არანაკლებ 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, კომპანია ვერ ასრულებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და მოითხოვდა ვალდებულების შესრულების ვადის გახანგრძლივებას 2016 წლის 31 მაისამდე.²⁹

2010 წლის 21 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #412 განკარგულება, რომელის მიხედვითაც, ცვლილება შევიდა პრეზიდენტის 2008 წლის 12 მარტის #181 განკარგულებაში და კომპანიისთვის გადავადდა ინვესტიციის განხორციელების ვადა 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სანქციები

²⁸ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 მარტის ბრძანება #1-1/330 „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

²⁹ შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ დირექტორ ზეზვა ცისკარიშვილის 2010 წლის 17 მაისის #1-05/10, წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის, თუმცა აღნიშნული სანქციები შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ მიმართ არ გამოყენებულა.³⁰

2010 წლის 21 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #415 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“, ³¹ რომლის მიხედვითაც, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 104931 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.013) და ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მდებარე 293895 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.16.011.001) და იქ არსებული რეზერვუარი. აღნიშნული კომპანიის პარტნიორებია: მამუკა ხაზარაძე (33.33000000%), ბადრი ჯაფარიძე (33.33000000%) და ბობ მერი (33.34000000%).

2010 წლის 21 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთი, #416 განკარგულება გამოსცა,³² რომლის მიხედვითაც, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 9 466 133 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ლისი ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე 1051138 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.010), 248804 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.009) და ლისი ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 737781 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.014). საერთო ჯამში, კომპანიას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე 2 037 723 კვ.მ. მიწის ფართობი.

ორგანიზაცია გაეცნო საქართველოს პრეზიდენტის 2011 და 2012 წლებში, სულ სამ განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, ცვლილებები განხორციელდა პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის #416 განკარგულებაში. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ 9 466 133 აშშ დოლარად გადაეცა იგივე ოდენობის, კერძოდ, 2 037 723 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, თუმცა მიწის ნაკვეთების შეცვლილი საკადასტრო მონაცემებით (ს/კ 01.14.17.001.019; 01.14.17.001.021; 01.14.17.001.018; 01.14.001.014.017), საპრივატიზებო პრობად განისაზღვრა, რომ 3 წლის განმავლობაში, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ უნდა განეხორციელებინა 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. კომპანიას უპირობო საკუთრებაში გადაეცა ცალკეული უძრავი ქონება და მიენიჭა განუსაზღვრელი უფლებამოსილებაც, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან რაიმე სახის შეტყობინების/ინფორმაციის მიწოდების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი ფორმით შეუძლია გაასხვისოს, განკარგოს და დატვირთოს გადაცემული მიწის ნაკვეთების გარკვეული ნაწილი. საბოლოოდ, პრეზიდენტის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, პრივატიზირებულ იქნა 96 466 133 (მათ შორის განსახორციელებელი

³⁰ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის განკარგულება #412 „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 12 მარტის #181 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

³¹ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის განკარგულება #415 „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

³² საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის განკარგულება #416 „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

ინვესტიცია შეადგენს 40 მლნ აშშ დოლარს) აშშ დოლარად (ანუ მთლიანობაში 110 მილიონი აშშ დოლარით ნაკლებ ფასში) იგივე პროცენტების (ირაკლი კილაურიძე, მამუკა ხაზარაძე) მიერ დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებებზე, რომელთა მიერ დაფუძნებული იყო შპს „ლისი-2007“.

2012 წლის 27 ნოემბერს, საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, რამაზ ახვლედიანმა საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და დარღვეული უფლებების აღდგენა მოითხოვა.

ორგანიზაცია კვლევის პროცესში დაინტერესდა, რამდენად შეასრულა შპს „თბილისის უძრავი ქონებამ“ ვალდებულება, რომელიც იკისრა 2004 წლის 6 დეკემბერს რამაზ ახვლედიანთან გაფორმებული განზრახულობათა ოქმით, სადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ დააფუძნებდნენ სააქციო საზოგადოება ს.ს. „ლისი ტბას“. ამავე დროს, რამაზ ახვლედიანი შპს „თბილისის უძრავი ქონებას“ დაუთმოდა მის 2/3 (66,6835%) წილს, რომელიც მას ჰქონდა შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბაში“. ასევე, განზრახულობათა ოქმში აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო, რამაზ ახვლედიანი ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (63,5 ჰა) გამოსყიდვას და ს.ს. „ლისის ტბის“ საწესდებო კაპიტალში შეტანას, შპს „თბილისის უძრავი ქონება“ ვალდებული იყო დაებრუნებინა რამაზ ახვლედიანისთვის შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ 2/3 (66,6835%) წილი.

კვლევის პროცესში დადგინდა შემდეგი - მიუხედავად იმისა, რომ რამაზ ახვლედიანმა მიზეზთა გამო ვერ მოახერხა ს.ს. „ლისის ტბის“ საწესდებო კაპიტალში შეეტანა მიწის ნაკვეთი (64,5 ჰა), მხარეებს შორის გაფორმებული განზრახულობათა ოქმით ნაკისრი ვალდებულება შპს „თბილისის უძრავი ქონებამ“ არ შეასრულა და რამაზ ახვლედიანს არ დაუბრუნა მისი კუთვნილი შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ 2/3 წილი.

2015 წლის 13 თებერვალს, რამაზ ახვლედიანმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს „თბილისის უძრავი ქონებისა“ და საქმეში მესამე პირ მამუკა ხაზარაძის მიმართ და მოითხოვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის მესაკუთრედ ცნობა. იმავდროულად, მოთხოვნილ იქნა ყადაღის წარმოშობა შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ საწესდებო კაპიტალში შპს „თბილისის უძრავი ქონების“ სახელზე რეგისტრირებულ 66,6835% წილზე. 2015 წლის 20 მარტის შესაგებელი სარჩელით, მხარემ მოსარჩელის მოთხოვნას, ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო, დაუსაბუთებელი უწოდა.

2015 წლის 16 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით,³³ რამაზ ახვლედიანის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ (ს/კ 204893106) საწესდებო კაპიტალში შპს „თბილისის უძრავი ქონების“ (ს/კ 205044156) სახელზე რეგისტრირებულ 66,6835% წილს. საქმეზე სასამართლოში დავა გრძელდება.

ამასთან, 2015 წლის 12 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვა ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №713 განკარგულება, რამაზ ახვლედიანისათვის 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის გაუქმების ნაწილში.

³³ 2015 წლის 16 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ზესიკ სისვამის განჩინება საქმეზე: #2/2442-15 (330210115724140) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2015 წლის 17 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა ფარქოსაძის განჩინებით, რამაზ ახვლედიანის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დაშვებულად.³⁴ აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დავაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამართლის განჩინებითვე, მოსამზადებელი სხდომა 2016 წლის 18 იანვარს გაიმართება.

ორგანიზაცია შენიშნავს, რომ რამაზ ახვლედიანის საქმეზე საერთო სასამართლოებში დაწყებული სამართალწარმოება მისი კანონიერი წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ძალისხმევისა და შრომის შედეგია. საქმეზე საერთო სასამართლოებში, რამაზ ახვლედიანის უფლებებს ადვოკატები: მზევინარ ანსიანი და გიორგი ნასყიდაშვილი ახორციელებენ.

2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, რამაზ ახვლედიანის საჩივარზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში, დაწყებულია სისხლის სამართლებრივი მოქმედებები. საქმეს განიხილავს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი. მოწმის სახით დაიკითხა რამაზ ახვლედიანიც.

³⁴ 2015 წლის 17 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, დიანა ფარქოსაძის განჩინება საქმეზე: საქმე №3/8755-15 სარჩელის წარმოებაში მიღების ა და დასაშვებად ცნობის შესახებ.

3. საკითხის ფაქტობრივი მხარე

ორგანიზაციამ 2015 წლის 17 ივლისს წერილით მიმართა³⁵ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე მოხდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემა?
2. განკარგულების გამოცემამდე, შესწავლილი და გამოკვლეული იქნა თუ არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რომ დაინტერესებულმა მხარემ ნამდვილად არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება?
3. რა ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დაინტერესებულმა მხარემ და რომელმა დაინტერესებულმა მხარემ ნამდვილად არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება? (არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მომაწოდოთ წერილობითი მტკიცებულებები)
4. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემამდე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩართული იყო თუ არა სს „ლისის ტბა“? რაში გამოიხატებოდა მისი ჩართულობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში?
5. ცნობილია თუ არა თქვენთვის, რა პოზიცია ჰქონდა სს. „ლისის ტბას“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით?
6. როგორ ფიქრობთ, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემის შედეგად, მიაღწა თუ არა ზიანი რამაზ ახვლედიანს ან/და სს „ლისის ტბას“?

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 31 ივლისის #7780 წერილის თანახმად, როგორც ორგანიზაციას, ასევე რამაზ ახვლედიანს ეცნობა, რომ „პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსულია ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, რომელიც შეეხება „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცემასთან“. რამაზ ახვლედიანის მიმართ გაგზავნილ წერილში დაკონკრეტებულია, რომ „იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემის ერთ-ერთი საფუძველია თქვენი 2004 წლის 4 ნოემბრის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლისა და „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, გვაცნობოთ პოზიცია თქვენი პერსონალური მონაცემის გაცემასთან დაკავშირებით“.³⁶ 2015 წლის 7 აგვისტოს, რამაზ ახვლედიანმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და ორგანიზაციის მიმართ პერსონალური ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, თანხმობა განაცხადა.³⁷

³⁵ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 17 ივლისის მიმართვა #309 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, დავით პატარაიას მიმართ.

³⁶ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, ეკატერინე ჭიტაშვილის 2015 წლის 31 ივლისის #7780 წერილი.

³⁷ მოქალაქე რამაზ ახვლედიანის 2015 წლის 8 აგვისტოს წერილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

2015 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ორგანიზაციის მიმართ უზრუნველყო³⁸ „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულების დამოწმებული ასლის მოწოდება და აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული დოკუმენტების ასლები. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერის, 2006 წლის 9 ნოემბრის #17621 წერილი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, პრეზიდენტის #713 განკარგულება, განკარგულების პროექტი და თავად რამაზ ახვლედიანის მიერ საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერის მიმართ, თბილისის მერიაში 2006 წლის 8 ნოემბერს რეგისტრირებული განცხადება.

2015 წლის 23 სექტემბერს, ორგანიზაციამ დამატებით მიმართა³⁹ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და მოითხოვა ცალკეული გამოცემული აქტების მიღება, რომელიც სრულყოფილი სახით არ იძებნებოდა ოფიციალურ „საკანონმდებლო მაცნეში“. დასმული საკითხები შეეხებოდა:

1. რის საფუძველზე გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის N181 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, შპს „ფროფერტ დეველოპმენტ ჰოლდინგ“-ს პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები;
2. საქართველოს პრეზიდენტის N181 განკარგულებით გადაცემულ მიწის ნაკვეთებს შორის, იყო თუ არა ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის N382 განკარგულებით გადაეცა რამაზ ახვლედიანსა და სს „ლისის ტბას“?;
3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს პრეზიდენტის N181 განკარგულება;
4. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის N412 განკარგულება;
5. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის N415 განკარგულება;
6. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის N416 განკარგულება.

2015 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ორგანიზაციის მიმართ უზრუნველყო⁴⁰ მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის გაცემა.

ორგანიზაციამ 2015 წლის 17 ივლისს წერილით მიმართა⁴¹ სააქციო საზოგადოება „ლისის ტბის“ მოქმედ ხელმძღვანელობას და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულება N382-ით განსაზღვრული პირობებიდან ს.ს „ლისის ტბას“ 2006 წლის ნოემბრის თვეში, რომელი პირობა ჰქონდა შესრულებული და რომელი - არა?
2. ს.ს „ლისის ტბას“ რამდენად ჰქონდა შესაძლებლობა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულება N382-ით განსაზღვრული პირობები შესრულებინა განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში?

³⁸ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, ეკატერინე ჭითაშვილის 2015 წლის 7 აგვისტოს #8041 წერილი.

³⁹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 23 სექტემბრის მიმართვა #392 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, დავით პატარაიას მიმართ.

⁴⁰ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, ეკატერინე ჭითაშვილის 2015 წლის 1 ოქტომბრის #9760 წერილი.

⁴¹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 17 ივლისის მიმართვა #311 ს.ს. „ლისის ტბის“ ხელმძღვანელობის მიმართ.

3. ს.ს „ლისის ტბა“, როგორც დაინტერესებული მხარე ჩართული იყო თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემამდე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში? რაში გამოიხატებოდა მისი ჩართულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?
4. ს.ს „ლისის ტბის“ წარმომადგენელმა მიმართა თუ არა განცხადებით ქ. თბილისის მერიას ან მცხეთის რაიონის გამგეობას, იმის თაობაზე, რომ ს.ს „ლისის ტბა“ ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას?
5. რა პოზიცია ჰქონდა ს.ს „ლისის ტბას“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით?
6. თვლით, თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემით ს.ს „ლისის ტბას“ ან/და რამაზ ახვლედიანს მიადგა ზიანი?
7. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემის შემდეგ, ს.ს „ლისის ტბამ“ რა მოქმედებები განახორციელა აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით?

ორგანიზაციამ 2015 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით, ს.ს. „ლისის ტბის“ /კომპანია „ჯი არ დისი“-ს მხრიდან დასმულ საკითხებზე გამოხმაურება არ მიუღია. ორგანიზაცია დაინტერესდა, ჩაბარდა თუ არა ოფიციალური კორესპონდენცია ადრესატს. „საქართველოს ფოსტის“ 2015 წლის 20 ოქტომბრის #156/2 – 4579 წერილის თანახმად,⁴² ს.ს. „ლისის ტბის“ /კომპანია „ჯი არ დისი“-ს მიმართ გაგზავნილი წერილი 21 ივლისს მიიღო და ჩაიბარა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ლალი წიქორიძემ.

ორგანიზაციამ 2015 წლის 29 ივლისს წერილით მიმართა⁴³ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

1. საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულების საფუძველზე, კონკრეტულად, რა ღონისძიებების განხორციელება ევალებოდა მცხეთის რაიონის გამგეობას?
2. საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით გამომდინარე ღონისძიებებიდან, რომლის განხორციელების უზრუნველყოფა ევალებოდა მცხეთის რაიონის გამგეობას, რომელი განხორციელდა და რომელი არ განხორციელდა?
3. რა იყო მიზეზი, რის გამოც მცხეთის რაიონის გამგეობამ ღონისძიებები არ განახორციელა?
4. მომზადდა თუ არა მცხეთის რაიონის გამგეობის მონაწილეობით მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით?
5. გაფორმდა თუ არა მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N382-ით და თუ არ გაფორმდა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი?

⁴² შპს „საქართველოს ფოსტის“ 2015 წლის 20 ოქტომბრის #15/6/2-4579 წერილი გაგზავნილი კორესპონდენციის მიღების შესახებ.

⁴³ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 29 ივლისის მიმართვა #327 ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ ზურაბ აბესაძის მიმართ.

6. ს.ს „ლისის ტბის“ წარმომადგენელს აქვს თუ არა განცხადება დაწერილი მცხეთის რაიონის გამგეობის სახელზე საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით განსაზღვრული პირობების შესრულების/შეუსრულებლობის ან მიწის ნაკვეთის შესახებ?

2005 წლის 10 აგვისტოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის #5474 წერილის თანახმად, „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაცული დოკუმენტაციის მიხედვით, „ლისის ტბის განვითარების პროექტის განსახორციელებლად, „მიწის განკარგვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 თებერვლის N28 დადგენილებისა და „ლისის ტბის განვითარების პროექტის“ განხორციელებისთვის სახელმწიფო ტყის ფონდიდან მიწის ფართობის ამორიცხის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის N152 განკარგულების შესაბამისად, ს.ს. „ლისის ტბის“ მიერ მცხეთის რაიონის გამგეობაში წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე, 2006 წლის 2 ივნისს, მცხეთის რაიონის გამგეობის მიერ მიღებულ იქნა N257 დადგენილება - „სააქციო საზოგადოება ლისის ტბის“ განვითარებისთვის, სახელმწიფო ტყის ფონდის მცხეთის რაიონის სატყეო მეურნეობის ლისის სატყეო უბნის მე-2, მე-3, მე-4 კვარტლებიდან, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მეტყვევების ინსტიტუტის დიდგორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის 24-ე კვარტილიდან 267 ჰა მიწის ფართობის სააქციო საზოგადოება „ლისის ტბისთვის“ გაცემის შესახებ.“ აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ იქნა რაიონის მიწის მართვისა და განაკარგვის კომისიის 2006 წლის 1 ივნისის N4 ოქმი, სადაც ერთ-ერთ ძირითად საკითხად მიჩნეულია ს.ს. „ლისის ტბის“ განვითარების გეგმა-პროექტი, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 თებერვლის N48 დადგენილება და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის N152 განკარგულება. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით, საქართველოს პრეზიდენტს ეთხოვა წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება-267 ჰა მიწის ფართობის პირდაპირი განკარგვის თაობაზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2006 წლის 14 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ იქნა N382 განკარგულება - „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“, რომელიც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 11 ოქტომბრის N713 განკარგულებით. ამასთან, გაცნობებთ, რომ სხვა სახის დოკუმენტაცია, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის N382 განკარგულების შესრულების მიზნით, მცხეთის რაიონის გამგეობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არ მოიძებნა.“⁴⁴

ორგანიზაციამ 2015 წლის 15 ოქტომბერს წერილით მიმართა⁴⁵ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მიღებულ ინფორმაციაში დამატებითი დაზუსტებები მოითხოვა. კერძოდ, „პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ნამდვილად, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 11 ოქტომბრის #713 განკარგულება დაედო საფუძველად თუ 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულება“. 2005 წლის 10 აგვისტოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის #7265 წერილის თანახმად,⁴⁶ დაზუსტდა, რომ „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ განკარგულება ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულებით. ორგანიზაციისთვის მიწოდებულ იქნა #713 განკარგულების ასლიც.

ორგანიზაციამ 2015 წლის 29 ივლისს წერილით მიმართა⁴⁷ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

⁴⁴ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზურაბ აბესაძის 2015 წლის 10 აგვისტოს #5474 წერილი.

⁴⁵ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 15 ოქტომბრის მიმართვა #413 ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობელ ზურაბ აბესაძის მიმართ.

⁴⁶ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირ ნინო ჩინაშვილის 2015 წლის 21 ოქტომბრის #7265 წერილი.

⁴⁷ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 29 ივლისის მიმართვა #328 ქ. თბილისის მერ დავით ნარმანიას მიმართ.

1. საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულების საფუძველზე, კონკრეტულად რა ღონისძიებების განხორციელება ევალებოდა ქ. თბილისის მერიას?
2. საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით გამომდინარე ღონისძიებებიდან, რომლის განხორციელების უზრუნველყოფა ევალებოდა ქ. თბილისის მერიას, რომელი განხორციელდა და რომელი არ განხორციელდა?
3. რა იყო მიზეზი, რის გამოც ქ. თბილისის მერიამ ღონისძიებები არ განახორციელა?
4. მომზადდა თუ არა ქ. თბილისის მერიის მონაწილეობით მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით?
5. გაფორმდა თუ არა მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით და თუ არ გაფორმდა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი?

ქალაქ თბილისის მერიის 2015 წლის 5 აგვისტოს #3095440 წერილის თანახმად, ორგანიზაციის მიმართვა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა სსიპ „ქ. თბილისის ქონების მართვის სააგენტოს“. წერილში აღინიშნა, რომ „მოთხოვნილი ინფორმაცი არ ინახება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მონაცემთა ბაზაში“.⁴⁸

ორგანიზაციამ 2015 წლის 30 ივლისს წერილით მიმართა⁴⁹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

1. გთხოვთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, თუ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას რამდენი პირი ფლობს?
2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებს საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას. მოქმედი კანონმდებლობით, როგორ რეგულირდება იმ პირების საკითხი, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ გასული არ არის?
3. საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია, რომელიც გაცემულია წინა წლებში და მისი მოქმედების ვადა ჯერ არ არის დამთავრებული, ინარჩუნებს თუ არა იურიდიულ ძალას მას შემდეგ, რაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებს საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას? თუ არ აქვს იურიდიული ძალა, რის საფუძველზე?

⁴⁸ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტ ნინო მეღვინიშვილის 2015 წლის 5 აგვისტოს #3095440 წერილი.

⁴⁹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 30 ივლისის მიმართვა #329 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილის მიმართ.

4. ხორციელდება თუ არა სახელმწიფო ზედამხედველობა/კონტროლი და როგორ, თუ რამდენად ასრულებენ ლიცენზიის პირობებს პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ არის გასული?
5. გვაცნობეთ, რა პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელსაც მიღებული აქვს საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია, ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ გასული არ არის და ამავე დროს, არ ასრულებს ლიცენზიის პირობებს?
6. თანამშრომლობს თუ არა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და როგორია სამინისტროს ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ არის გასული?
7. როგორ უნდა მოიქცეს პირი, რომელიც ფლობს საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას, ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ არის დამთავრებული და სურს აღნიშნული ლიცენზიის ვადამდე ადრე გაუქმება?
8. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, 2015 წლის 30 ივლისის მდგომარეობით, ვინ უზრუნველყოფს ლისის ტბის წყლის რაციონალურ გამოყენებას და ვინ ზრუნავს მისი ხარისხის შენარჩუნებასა და აღდგენაზე?

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს #5805 წერილის თანახმად, „სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მოქმედებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N27 ბრძანებით დამტკიცებული დებულების ფარგლებში, რის საფუძველზეც სააგენტოს ევალება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გასცეს ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზის) სარგებლობის ლიცენზიები, მათ შორის მიწისქვეშა წყლის მოპოვებაზე, რომელიც გაიცემა აუქციონის წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიებზე ინფორმაციას სააგენტო არ ფლობს. რაც შეეხება ლისის ტბის წყლის ხარისხის შენარჩუნებასა და რაციონალურ გამოყენებას, ხარისხზე ზრუნვა სცილდება სამინისტროს/სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახური ითანხმებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან ითანხმებს წყლის ამოღების ტექნიკურ რეგლამენტს, რომლითაც დგინდება წყალაღების ლიმიტი, რაც შესაბამისად მიმართულია წყლის რაციონალური გამოყენების დარეგულირებისკენ (დღეისთვის ლისის ტბის წყალაღებაზე არცერთი ობიექტისთვის ასეთი ტექნიკური რეგლამენტი შეთანხმებული არ არის). ამასთანავე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს წყლის კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენას (მაგალითად, წყლის დაბინძურების ფაქტები) და შესაბამის რეაგირებას. აქვე გაცნობებთ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დაბინძურებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში ყოველწლიურად, საბანაო სეზონის დადგომასთან ერთად, თვეში ერთხელ აწარმოებს ლისის ტბის წყლის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ კვლევას (გარდა დაავადებათა გამომწვევი მაჩვენებლისა)“.⁵⁰

⁵⁰ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ეკატერინე ბენდელიანის 2015 წლის 17 აგვისტოს #5805 წერილი.

ორგანიზაციამ 2015 წლის 11 აგვისტოს წერილით მიმართა⁵¹ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

1. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის 13 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება რამაზ ახვლედიანმა სრულად შეასრულა და გადაიხადა საიჯარო ქონების გამოსასყიდი თანხა, რატომ არ გამოსცა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა?

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 19 აგვისტოს #14/50233 წერილის თანახმად, „ზემოაღნიშნულ კორესპონდენციაში მოყვანილ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაცია/დოკუმენტაცია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში არ იძებნება“.⁵²

ორგანიზაციამ 2015 წლის 17 სექტემბერს, წერილით მიმართა⁵³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, გამოხმაურება ითხოვა:

1. 2007 წლის 31 იანვარს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების მიხედვით, ლისის ტბის მიმდებარედ, არსებული შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები დამტკიცებული იქნა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე.
 - კონკრეტულად, რომელი მიწის ნაკვეთები და რამდენი კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღირიცხა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში და რის საფუძველზე?
 - საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შედიოდა თუ არა ის მიწის ნაკვეთები, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის N382 განკარგულებით გადაეცა რამაზ ახვლედიანსა და სს „ლისის ტბას“?
 - გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნული 2007 წლის 31 იანვარს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება.
2. გაცნობებთ, რომ 2007 წლის 17 მაისს გაიმართა აუქციონი, სადაც გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლისი-2007“, აუქციონში გამარჯვების შემდეგ, 2007 წლის 22 მაისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის ოქმი N15
 - შპს „ლისი-2007“-მა შეასრულა თუ არა ის ვალდებულებები, რომლის შესრულებაც დაევა ზემოაღნიშნული ოქმის მიხედვით? (ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრა თუ არა რაიმე სახის სანქცია შპს „ლისი-2007“ და რა სახის სანქცია იყო, ასეთის არსებობის შემთხვევაში?)
 - გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2007 წლის 22 მაისის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 01.03.07 წლის N15 ოქმის დამტკიცების შესახებ“.

⁵¹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 11 აგვისტოს მიმართვა #343 სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, ლალი ჭელიძის მიმართ.

⁵² სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირ ლალი ჭელიძის 2015 წლის 19 აგვისტოს #14/50233 წერილი.

⁵³ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 17 სექტემბრის მიმართვა #388 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციის სამსახურის უფროსს პავლე ოკუჯავას მიმართ.

3. 2007 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 22 მაისის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების ნაწილი.
 - რის საფუძველზე იქნა მიღებული ზემოაღნიშნული ბრძანება?
 - გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2007 წლის 10 ოქტომბრის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება.
4. რის საფუძველზე და რატომ გამოიცა ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 მარტის ბრძანება N1-1/330
 - გთხოვთ, მოგვაწოდოთ ზემოაღნიშნული ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 მარტის ბრძანება N1-1/330

2015 წლის 1 ოქტომბერს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ორგანიზაციას სრულად მიაწოდა⁵⁴ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ორგანიზაციამ 2015 წლის 11 აგვისტოს წერილით მიმართ რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, 2015 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით, ს.ს. „თიბისი ბანკის“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძეს და აღნიშნა, რომ „იქედან გამომდინარე, რომ საქმე სარგებლობს მაღალი სამოქალაქო/მედია ინტერესით, თქვენ წარმოადგენდით რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, მნიშვნელოვანია საკითხებთან დაკავშირებით, არსებობდეს თქვენი პოზიცია და გამომხმარებება. მნიშვნელოვანია, კვლევას ჰქონდეს ობიექტურობის პრეტენზია და მკითხველმა თანაბრად მიიღოს საქმესთან დაკავშირებული ყველა პირის სადღეისო დამოკიდებულება. ამიტომაც, მოგმართავთ და გთხოვთ, გონივრულ ვადებში, თქვენი მხრიდან მომზადდეს ქვემოთ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით გამომხმარებება და შეფასება“.⁵⁵

1. საქართველოს პრეზიდენტ 2004-2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2006 წლის 14 ივლისის N382 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, მცხეთის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა სს „ლისის ტბას“, რომლის ერთ-ერთი თანადამფუძნებლის ს.ს „თბილისის უძრავი ქონების“ თანადამფუძნებელი თქვენ იყავით. რა ინფორმაციას ფლობთ იმის შესახებ, თუ რა გახდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემის მიზეზი?
2. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემამდე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩართული იყო თუ არა ს.ს „ლისის ტბა“ ან უშუალოდ თქვენ, როგორც დაინტერესებული მხარე და რაში გამოიხატებოდა ჩართულობა, ასეთი არსებობის შემთხვევაში?
3. როგორ ფიქრობთ, როგორც რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემა რამდენად კანონიერად მოხდა?

⁵⁴ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირ ლალი ჭელიძის 2015 წლის 1 ოქტომბრის #14/58080 წერილი.

⁵⁵ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 11 აგვისტოს მიმართვა #344 ს.ს. „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძის მიმართ.

4. თვლით თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემით ზიანი მიაღდა ს.ს „ლისის ტბას“ ან/და თქვენს ბიზნეს-პარტნიორ რამაზ ახვლედიანს?
5. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ N382 განკარგულების მიხედვით, განსაზღვრული პირობებიდან ს.ს „ლისის ტბას“ 2006 წლის ნოემბრის თვეში რომელი პირობა ჰქონდა შესრულებული და რომელი არა?
6. ს.ს „ლისის ტბას“ რამდენად ჰქონდა შესაძლებლობა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულება N382-ით განსაზღვრული პირობები შეესრულებინა განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში?
7. ს.ს „ლისის ტბის“ წარმომადგენელმა მიმართა თუ არა განცხადებით ქ. თბილისის მერიას ან მცხეთის რაიონის გამგეობას, იმის თაობაზე, რომ ს.ს „ლისის ტბა“ ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას?
8. ს.ს „ლისის ტბის“ წარმომადგენელს აქვს თუ არა განცხადება დაწერილი მცხეთის რაიონის გამგეობის სახელზე საქართველოს პრეზიდენტის N382 განკარგულებით განსაზღვრული პირობების შესრულების/შესრულებლობის ან მიწის ნაკვეთის შესახებ? (არსებობის შემთხვევაში, მოგვაწოდოთ მომწოდოთ წერილობითი მტკიცებულებები)
9. მიმართა თუ არ უფლებამოსილ ორგანოს/პირს ს.ს „ლისის ტბამ“ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, იმ მიზეზით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულებით ზიანის მიაღდა ს.ს „ლისის ტბას“?
10. 2007 წლის 17 მაისს გამართულ აუქციონში მონაწილეობა მიიღო შპს „ლისი-2007“-მა სხვა კომპანიებთან ერთად, აღნიშნულ აუქციონში გამარჯვებული გამოცხადდა შპს „ლისი-2007“, რომლის დირექტორი გახლდათ ირაკლი კილაურიძე, ხოლო თქვენ - უფლებამოსილი წარმომადგენელი. გამარჯვების შემდეგ, 2007 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 22 მაისის ბრძანების ნაწილი, შედეგად კომპანიას არ დაუბრუნდა „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა 2 650 000 აშშ დოლარი. თქვენი აზრით, რა გახდა მიზეზი, რის გამოც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოსცა 2007 წლის 10 ნოემბრის ბრძანება?
11. დაჯარიმდა ან სხვაგვარდა სანქცირდა თუ არა შპს „ლისი-2007“, იმ საფუძველით, რომ მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება 2007 წლის 17 მაისს გამართულ აუქციონში გამარჯვების შემდეგ?
12. თქვენ, როგორც რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, გქონდათ თუ არა ინფორმაცია, რომ მის მიმართ საგამომიებო უწყებების მხრიდან (ფინანსური პოლიცია) ხორციელდებოდა სისტემატური შეტყობინებები და ხელისუფლება მოითხოვდა რამაზ ახვლედიანის ქონების დათმობას?
13. თქვენ, როგორც რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, რა შეფასება მიეცით ან/და გაქვთ ამჟამად, რამაზ ახვლედიანის მიერ 2006 წლის 4 ნოემბერს საკუთარი განცხადების საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილი ქონების შესახებ?

14. თქვენ, როგორც რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, ფიქრობთ თუ არა, რომ რამაზ ახვლედიანი ქონებაჩამორთმეულია და ხელისუფლება მის ბიზნესს-ინტერესებს მოექცა უკანონოდ?
15. როგორია თქვენი დამოკიდებულება 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად, შეცვლილი ხელისუფლების დაპირების მიმართ, რომელიც ეხება ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სამართლიანობის აღგენას? ფიქრობთ თუ არა, რომ რამაზ ახვლედიანი ქონებაჩამორთმეულია?

ორგანიზაციას 2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, მამუკა ხაზარაძის მხრიდან დასმულ საკითხებზე გამოხმაურება არ მიუღია. ორგანიზაცია დაინტერესდა, ჩაბარდა თუ არა ოფიციალური კორესპონდენცია ადრესატს. „საქართველოს ფოსტის“ 2015 წლის 20 ოქტომბრის #156/2 – 4579 წერილის თანახმად,⁵⁶ მამუკა ხაზარაძის მიმართ გაგზვანილი წერილი 21 ივლისს მიიღო და ჩაიბარა ს.ს. „თიბისი ბანკის“ კანცელარიის მენეჯერმა თამარ სინაურიძემ.

⁵⁶ შპს „საქართველოს ფოსტის“ 2015 წლის 20 ოქტომბრის #15/6/2-4579 წერილი გაგზვანილი კორესპონდენციის მიღების შესახებ.

4. დასკვნა

რამაზ ახვლედიანის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლამ მკაფიო გახადა პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა სამართალზე, რომელიც 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდისთვის დამახასიათებელი, სისტემური დანაშაულის ნიშნებს ატარებს. რამაზ ახვლედიანის საქმეში არსებული რეალური მტკიცებულებები და ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ სახელმწიფომ და სახელმწიფოს პოლიტიკური თანამდებობის პირებთან დაახლოებულმა წრეებმა, სამართლის სახელით, ბიზნესმენის მიმართ დაგეგმეს და განახორციელეს დანაშაულებრივი ქმედება, რითაც რამაზ ახვლედიანმა დაკარგა ბიზნესი, გახდა სახელმწიფო იძულებისა და ძალმომრეობის მსხვერპლი, შეელახა პატივი, ღირსება და ექვემდებარდა საქმიანი რეპუტაციის საკითხი, უკანონო გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული გარიგებების საფუძველზე, აღმოჩნდა პოლიტიკური ხელისუფლებისთვის მიუღებელი პირი, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მოსალოდნელი ფიზიკური და მორალური ზემოქმედების გამო, არ ჰქონდა შესაძლებლობა ღიად ესაუბრა საკუთარი ბიზნესის დათმობის, მომხდარი იძულებისა და მის მიმართ ჩამოყალიბებული მტრული გარემოს გამომწვევი მიზეზების თაობაზე. 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკურმა ცვლილებებმა საქართველოში, რამაზ ახვლედიანს საშუალება მისცა ქონების თუ ბიზნესის დათმობის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, სამართლებრივი დავა, როგორც სასამართლოს, ასევე საქართველოს მთავრი პროკურატურისადმი მიმართვით დაეწყო, ხოლო წარმოდგენილი კვლევით, საზოგადოებისთვის ცნობილი გამხდარიყო სამართლის დამოუკიდებელი სპეციალისტების შეხედულებები და აზრი. შესაბამისად, კვლევამ გადმოსცა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. ჩვენს მიერ შესწავლილმა მასალამ ცხადყო, რომ რამაზ ახვლედიანის ისტორია ერთ-ერთი მაგალითია 2004-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების მიდგომების დახასიათებისათვის, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, საკუთრების უფლების მიმართ მყარი გარანტიებისა და თავისუფალი ბიზნესის კეთების შესაძლებლობებიდან, გამომდინარეობდა. ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #14/51832 წერილის მიხედვით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2004-2014 წლებში, ჩუქების ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ ან მიტოვების ფორმით, გადაცემული ქონებების, წილების, აქციებისა და ავტომობილების ოდენობამ შეადგინა 5634 უძრავი თუ მოძრავი ნივთი. 2014 წლის 23 ივლისის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში, განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა რეკომენდაციებმა საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რათა შექმნან ეფექტური მექანიზმი და მოახდინონ 2003-12 წლებში მოქმედი ხელისუფლების პირობებში ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, რომელიც ატარებდა სისტემურ ხასიათს და წარმოადგენდა სისტემური დანაშაულის სახეს. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამაზ ახვლედიანის საქმეც, თავისი ხასიათით და თანმიმდევრულობით, სისტემური დანაშაულის შედეგია, რითაც მოქალაქეს არავითარი შანსი არ დაუტოვეს საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვასა და განხორციელებაზე, გარდა ფიზიკურად გადარჩენის შესაძლებლობა, თუმცა ისიც ხანგრძლივი დუმილის სანაცვლოდ.

ორგანიზაცია რამაზ ახვლედიანის საქმის ისტორიიდან ყურადღებას დაუთმოს იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებებს, რომელიც საერთო დინამიკაში ღიად გამოკვეთს საკითხის კანონიერებისა თუ სამართლიანობის მნიშვნელობას. სახელმწიფოს მხრიდან დაშვებული ცალკეული უკანონო მოქმედებების მაგალითს, საქმეში არაერთი იურიდიული გადაწყვეტილება წარმოადგენს. რამაზ ახვლედიანის მიმართ განხრახ წამგებიანი გარემოს შექმნაში მთავარი როლი შეასრულა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტმა და უშუალოდ, საქართველოს პრეზიდენტმა 2004-2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილის სამართლებრივმა აქტებმა. პრეზიდენტმა საკუთარი ძალაუფლება მოქალაქის მიმართ არამართლზომიერად გამოიყენა, მიღებული გადაწყვეტილებებით მოახდინა რამაზ ახვლედიანის ბიზნესის შევიწროვება, უპირატესობები გამოხატა ბიზნესში საერთო პარტნიორებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთის სასარგებლოდ შექმნა მომგებიანი და ხელსაყრელი გარემო, სახელმწიფო

უსაფრთხოების სამსახურების მონაწილეობით, რამაზ ახვლედიანის მიმართ განახორციელა პიროვნული და საქმიანი იძულება, დათმობილი ქონებები და ბიზნესი დაუქვემდებარა ისეთ სუბიექტებს, რომელთან საქმიანობაზეც შემდგომი გავლენა, სავარაუდოა, რომ გაცილებით მეტი სარგებლისა და პოლიტიკური მხარდაჭერის მომტანი იქნებოდა. სხვა შემთხვევაში, რამაზ ახვლედიანის საქმეში, ჩვენ არ გვექნებოდა მისი წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის ჩამორთმევის ფაქტი, პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსობრივი მხარე და გადაწყვეტილებების მიღების თანმიმდევრულობა, ლისის ტბის შეცვლილი მფლობელები, საქმესთან დაკავშირებით, ამჟამად არსებული მდგომარეობა და არსებული ვალდებულებები.

ჩვენ ვხედავთ, რომ 1999 წლის 13 აპრილს, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, რამაზ ახვლედიანს გადაეცა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „ლისის ტბის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, რამაზ ახვლედიანს უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა, მას ჰქონდა გამოსყიდვის უფლებაც, გამოსყიდვის შემთხვევაში საიჯარო ქონება გადადიოდა მის საკუთრებაში. რამაზ ახვლედიანმა ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. შედეგად, 2004 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან გაფორმდა შედარების აქტი, რომლის მიხედვითაც, აღიარებულ იქნა, რომ რამაზ ახვლედიანმა კეთილსინდისიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, გადაიხადა გამოსასყიდი თანხა - 60416,43 ათასი ლარი და იჯარა - 13962,14 ათასი ლარი. ამდენად, სახელმწიფოს რამაზ ახვლედიანისთვის საკუთრებაში უნდა გადაეცა აღნიშნული ქონება, როგორც ეს 1999 წლის 13 აპრილის იჯარის ხელშეკრულებით იქნა შეთანხმებული და პირობადადებული. მიუხედავად იმისა, რომ რამაზ ახვლედიანის მიერ შეთანხმებული პირობების შესრულების შემდეგ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რამაზ ახვლედიანის მიმართ უნდა გაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, სამინისტროს მოუხდენია აღნიშნული დოკუმენტის გაცემა. ორგანიზაციამ კვლევის მომზადების პროცესში, მიმართა სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც წარმოადგენს მაშინდელი სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ სამართალმემკვიდრეს, ხოლო ეს უკანასკნელი - სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მემკვიდრეს. წერილში, ორგანიზაცია დაინტერესდა, თუ რატომ არ გამოსცა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, მაშინ, როდესაც, 1999 წლის 13 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ბიზნესმენმა სრულად შეასრულა და გადახდილ იქნა საიჯარო ქონების გამოსასყიდი თანხაც. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 19 აგვისტოს #14/50233 წერილის თანახმად, დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაცია/დოკუმენტაცია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში არ მოიძებნა. ჩვენი აზრით, სამწუხაროა, როდესაც წლების შემდეგაც, სახელმწიფოს პასუხი არ აქვს რამაზ ახვლედიანის მიმართ განხორციელებულ ქმედებაზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ მეტყველებს სახელმწიფოსთვის რამაზ ახვლედიანის საქმეზე, წინა ხელისუფლების მხრიდან დატოვებულ მემკვიდრეობაზე. რჩება ერთადერთი ანალიზის საფუძველი, რომ რამაზ ახვლედიანის მიმართ, სახელმწიფოს მაშინდელი მოქმედება იყო არამართლზომიერი და უკანონო. არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც რამაზ ახვლედიანს არ უნდა მიეღო მიღებულ ქონებაზე საკუთრების უფლება.

ჩვენ ყურადღებას დავუთმობთ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ რამაზ ახვლედიანის სახელზე არ გაცემულა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების საკუთრების შესახებ, არსებობდა 2004 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რამაზ ახვლედიანს შორის გაფორმებული შედარების აქტი, რომელიც აღიარებდა, რომ რამაზ ახვლედიანმა კეთილსინდისიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რაც გულისხმობდა, რომ ლისის ტბის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობები წარმოდგენდა სწორედ მის საკუთრებას. იქიდან გამომდინარე, რომ ბიზნესმენმა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გამოისყიდა ლისის ტბის გარშემო მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობები, მას გააჩნდა უფლება გამოესყიდა ლისის ტბის გარშემო მდებარე

მიწის ნაკვეთი - 63,5 ჰა, გამოსყიდვის უფლება ბიზნესმენს გააჩნდა „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ რამაზ ახვლედიანმა დაიწყო გარკვეული მოქმედებების განხორციელება იმ მიზნით, რომ გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლება და შეესყიდა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც არსებული შენობა-ნაგებობები უკვე მის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ვიდრე რამაზ ახვლედიანი უზრუნველყოფდა „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებას და მოახდენდა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის შესყიდვას, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ბიზნესმენტან შეთანხმების გარეშე, 2006 წლის 14 ივლისს გამოსცა განკარგულება #382 „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63.5.ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა ფიზიკური პირის სტატუსით რამაზ ახვლედიანს, ხოლო 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ასევე პირდაპირი განკარგვის წესით - ს.ს „ლისის ტბას“. ამავდროულად განკარგულებით განისაზღვრა გარკვეული ვალდებულებები, რომელიც მხარეებს უნდა შეესრულებინათ, მაგრამ მოცემული ფაქტობრივი გარემოების შეფასებით, მთავარი სხვაა - პრეზიდენტმა რამაზ ახვლედიანს ის მიწის ნაკვეთები გადასცა, რომელზედაც არსებული შენობა-ნაგებობები, მოქმედი კანონით, უკვე წარმოადგენდა ბიზნესმენის საკუთრებას და იმავე კანონის შესაბამისადაც, რამაზ ახვლედიანი უშუალოდ ახდენდა მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის უფლების განხორციელებასაც.

ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულება #382 წარმოადგენდა სრულიად ზედმეტს ბიზნესმენისთვის, ვინაიდან ქონებაზე, რომელიც გადაეცა აღნიშნული განკარგულებით, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონის მიხედვით, რამაზ ახვლედიანს გააჩნდა გამოსყიდვის უფლება, იქიდან გამომდინარე, რომ მან სრულად შეასრულა 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და გამოისყიდა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, პრეზიდენტის #382 განკარგულების გამოცემის საჭიროება არ იდგა, მაგრამ რატომ მოხდა ასე? პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით, რამაზ ახვლედიანს გადაეცა ქონება განსაზღვრული პირობებით და მას უნდა გადაეხადა შესაბამისი ღირებულება, მაშინ, როდესაც ეს ქონება „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონის საფუძველზე, მას უნდა გამოეყიდა, როგორც საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შემსრულებელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის განკარგულების არ არსებობის შემთხვევაშიც, რამაზ ახვლედიანს უნდა გადაეხადა ქონების ღირებულება და გახდებოდა მისი მესაკუთრე. შესაბამისად, პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის საჭიროება არ იდგა. ამიტომაც, განკარგულების გამოცემის მიზანს წარმოადგენდა ერთადერთი - სახელმწიფოს „ადვილად“ დაეწყო ბიზნესმენის მიმართ, გარკვეული საწინააღმდეგო მომედებების განხორციელება და განვითარების შესაძლებლობების შეზღუდვა, ვინაიდან ადვილად განჭვრეტადი აღმოჩნდა, ლისის ტბის განაშენიანებითა და მიღებული შემოსავლით, წარმატებული ბიზნესის პერსპექტივა. ამასთან, იმის გათვალისწინება, რომ რამაზ ახვლედიანი არ წარმოადგენდა სახელისუფლებო გარემოსთან დაახლოებულ ბიზნესმენს, მისი საქმიანობა ეფუძნებოდა კეთილსინდისიერებასა და ბიზნესში პარტნიორული ურთიერთობების პრინციპებს, სურდა სახელმწიფოს სასარგებლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სიკეთის მოტანა და ადგილობრივი დასახლების ბაზრის შექმნა. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო რამაზ ახვლედიანის მიმართ ხელოვნურ ბარიერებს ქმნიდა და არასასურველ განწყობებს აჩენდა, ბიზნესმენის საქმიანობაში თვალსაჩინო 2006 წლის სექტემბერში გახდა. რამაზ ახვლედიანის მიმართ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2006 წლის 15 სექტემბრის წერილში

ნათქვამია, რომ ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 632907 კვ.მ მიწის ფართობის ნორმატიული ფასი მიეკუთვნება მე-40 ქვეზონას, შეადგენს 10 759 419 ლარს და რამაზ ახვლედიანის მიმართ მოთხოვნილ იქნა მითითებული თანხის გადახდა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ცდილობდა რამაზ ახვლედიანს გადაეხადა მიწის ნაკვეთზე დადგენილ ღირებულებაზე ბევრად მეტი თანხა, ვიდრე მიწის ნაკვეთის რეალური ღირებულება მაშინ იყო. აღნიშნულს ადასტურებს თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სხვა, 2006 წლის 21 სექტემბრის წერილი, რომლის მიხედვითაც, ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის 63,5 ჰა მიწის ნაკვეთი მიეკუთვნებოდა 53-ე ქვეზონას, სადაც ერთი კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 12 ლარს. შესაბამისად, რამაზ ახვლედიანი სამინისტროსგან ოფიციალურად მოითხოვდა, ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის შესყიდვა მომხდარიყო ამ ფასის გათვალისწინებით, თუმცა სახელმწიფომ ბიზნესმენის მოქმედებებს, სრული დუმილით უპასუხა. ხელისუფლებისთვის უკვე მკაფიო აღმოჩნდა, რომ რამაზ ახვლედიანი საკუთარი უფლებების დასაცავად და ბიზნესის ინტერესებისთვის, აქტიურ მოქმედებებს იწყებდა. ბიზნესმენი რამაზ ახვლედიანი თვალთვალისა და საგამოძიებო ორგანოში დაბარების წინაშე აღმოჩნდა. 2006 წლის ოქტომბერში, რამაზ ახვლედიანის საქმიანობასა და ბიზნეს-გეგმებში, ლისის ტბის მომავალთან დაკავშირებით, თითქმის ყველაფერი შეიცვალა. სახელმწიფომ მართლსაწინააღმდეგოდ, უსაფრთხოების სამსახურის ჩართულობით, რამაზ ახვლედიანი აიძულა მოემზადებინა განცხადება და ლისის ტბის ქონება სახელმწიფოსთვის დაეთმო. ბიზნესმენმა განცხადება თბილისის მერიისა და საქართველოს მთავრობის სახელზე, 2006 წლის 4 ნოემბერს დაწერა, როდესაც დაიბარეს მაშინდელ ფინანსურ პოლიციაში და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობით დაემუქრნენ, როგორც მას, ასევე მის ახლობლებს. წერილში, ნების საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. ბიზნესმენის განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს კი პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება ჩამოართვეს. აღსანიშნავია, რომ განცხადებაზე რეგისტრირებულია მისი თვითმმართველობის ორგანოში ოფიციალური რეგისტრაციის ნომერიც და თარიღიც. დოკუმენტი მიუთითებს, რომ თბილისის მერიაში, რამაზ ახვლედიანის განცხადება რეგისტრირებულია განცხადებაზე ხელმოწერიდან მეოთხე დღეს - 8 ნოემბერს. წარმოდგენილი დოკუმენტი პირველი საჯარო დადასტურებაა, თუ როგორ ხდებოდა ქონების დათმობაზე მესაკუთრეთა განცხადებების მომზადება. ორგანიზაციამ აღნიშნული მტკიცებულება, ოფიციალური წესით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიიღო.

ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულება, მოქმედი კანონმდებლობის უგულვებელყოფით გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულება „ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“. აღნიშნულ #713-ე განკარგულებაში ვკითხულობთ, რომ განკარგულების გამოცემის მიზეზს წარმოადგენდა დაინტერესებული მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების არ შესრულება. საუბარია, რომ დაინტერესებულმა მხარემ, რომელსაც წარმოადგენს რამაზ ახვლედიანი და ს.ს „ლისის ტბა“, თითქოსდა ვერ შეასრულეს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით აღიარებული ვალდებულებები, მაშინ, როდესაც რამაზ ახვლედიანსა და ს.ს „ლისის ტბას“, თითქმის ყველა ვალდებულება უკვე შესრულებული ჰქონდა. პრეზიდენტის განკარგულების უკანონოებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ იურიდიული დოკუმენტი გამოიცა მაშინ, როდესაც რამაზ ახვლედიანისთვის ვალდებულების შესრულების ვადა, ჯერ არ დამდგარიყო. 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით, რამაზ ახვლედიანსა და ს.ს „ლისის ტბას“ უნდა განეხორციელებინა ლისის ტბის რეაბილიტაციის დაწყება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და ამ მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადად კი განსაზღვრული იყო 2006 წლის 31 დეკემბერი. საქართველოს პრეზიდენტი 2006 წლის 10 ნოემბრის განკარგულებით კი აღნიშნავდა, რომ თითქოსდა დაინტერესებულმა მხარემ 10 ნოემბრის მდგომარეობით, ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, როდესაც ვალდებულების შესრულების

თარიღად განსაზღვრული იყო 2006 წლის 31 დეკემბერი. ცალსახაა, რომ მხარის „დადანაშაულება“, თუ რატომ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება მაშინ, როდესაც მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა წარმოადგენს უკანონობას. გარდა ამისა, ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ მხარეების მიერ ვადადღე, ანუ 2006 წლის დეკემბრამდე, პრეზიდენტის მიერ 2006 წლის 10 ნოემბრის განკარგულების გამოცემამდე, უკვე შესრულებული იყო უმეტესი ვალდებულებები. კერძოდ, დაწყებული იყო ლისის ტბის რეაბილიტაციის პროცესი, დაქირავებული კომპანიის მეშვეობით, მიმდინარეობდა ლისის ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და სხვა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თითოეული ვალდებულების შესრულება უნდა დაწყებულიყო მიწის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე, აღნიშნული ხელშეკრულებების მომზადებისა და გაფორმების უზრუნველყოფა პრეზიდენტის განკარგულებით დავალებული ჰქონდათ ქალაქ თბილისის მერიასა და მცხეთის რაიონის გამგეობას, თუმცა, საქმის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ არც ქალაქ თბილისის მერიასა და არც მცხეთის რაიონის გამგეობას, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განსაზღვრული ვალდებულებები არ შეუსრულებიათ. კერძოდ, საერთოდ არ შემდგარა მიწის განკარგვის თაობაზე სავალდებულო ხელშეკრულებები, როდესაც ორგანიზაციამ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით, წერილობით მიმართა თბილისის მერიასა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, თუ კონკრეტულად, რა ღონისძიებების განხორციელება ევალებოდათ თვითმმართველობებს, ნაკისრი ვალდებულებებიდან თუ რომელი განხორციელეს, რა იყო არ შესრულების მიზეზი და სხვა, გამოხმაურების სახით მივიღეთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ მონაცემთა ბაზაში არ ინახებოდა. არც ქალაქ თბილისის მერია და არც მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ ფლობს ინფორმაციას პრეზიდენტის განკარგულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ან არ შესრულების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რამაზ ახვლედიანის საქმის მიმართ, საჯარო დაწესებულებების მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე ან/და შეგნებულად მიჩქმალვაზე, რათა მომავლისთვის არ გამხდარიყო ძიებისა და შემოწმების საგანი. გარდა ამისა, აღნიშნული ვითარება მეტყველებს იმ გარემოებაზეც, რომ რადგანაც ბიზნესმენსა და სახელმწიფოს შორის არ გაფორმებულა მიწის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებები, რომლის დადებიდან უნდა დაწყებული რამაზ ახვლედიანისა და ს.ს „ლისის ტბის“ მხრიდან საქართველოს პრეზიდენტის #382 განკარგულებით აღებული ვალდებულებების შესრულება, უჩვენებს, რომ აღებული ვალდებულების შესრულების დაწყების თარიღიც კი არ იყო დამდგარი. ყოველივე აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულება წარმოადგენდა უკანონოს, ვინაიდან დაინტერესებული მხარე „დადანაშაულებულია“ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების „არ შესრულებაში“, როდესაც მისი არც შესრულების ვადა არ იყო დამდგარი და არც შესრულების დაწყების თარიღიც.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულების კანონთან შეუსაბამობისა და არსით, ბათილობის საფუძველია ის გარემოებაც, რომ მისი გამოცემის პროცესში, არ მომხდარა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა და აქტის გამოცემა არ განხორციელებულა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რაც „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრული აუცილებლობაა. ჩვენ ამჟამად ვერც პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მივიღეთ დასაბუთებული ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე მოხდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის N713 განკარგულების გამოცემა, მის გამოცემამდე, შესწავლილი და გამოკვლეული იქნა თუ არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რომ დაინტერესებულმა მხარემ ნამდვილად არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რა ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დაინტერესებულმა მხარემ და რომელმა დაინტერესებულმა მხარემ ნამდვილად არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება; განკარგულების გამოცემამდე, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩართული იყო თუ არა ს.ს „ლისის ტბა“ და ა.შ. საქართველოს პრეზიდენტის მოქმედი ადმინისტრაციაც კი ინფორმირების გარეშე აღმოჩნდა დასმული საკითხების მიმართ და პასუხად ორგანიზაციამ სადაოდ გამხდარი განკარგულების ასლი და რამაზ ახვლედიანის

მიერ 2006 წლის 4 ნოემბრის თბილისის მერიისა და საქართველოს მთავრობის მიმართ დაწერილი განცხადების ასლი მიიღო. აღნიშნული მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის #713 განკარგულების გამოცემის ერთადერთი მიზეზი რამაზ ახვლედიანის 2006 წლის 4 ნოემბრის, ძალადობისა და ზეწოლის შედეგად, ნამდვილი იურიდიული ნების საწინააღმდეგოდ დაწერილი განცხადება გახდა, სადაც ბიზნესმენი აღნიშნავდა, რომ მან სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, თითქოსდა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. ყურადსაღებია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის პროცესში, არ იყო გათვალისწინებული კიდევ ერთი დაინტერესებული მხარე - ს.ს „ლისის ტბას“ სახით. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე, არ ყოფილა ჩართული, ს.ს „ლისის ტბის“ უფლებამოსილი პირებიც, მათი ჩართულობა კი, კანონით, სავალდებულო იყო, ვინაიდან ვალდებულების შესრულება, რომლის არ შესრულების მიზეზიც გახდა საქართველოს პრეზიდენტის #713 განკარგულების გამოცემა, თანაბრად ევალებოდა, როგორც რამაზ ახვლედიანს, ისე ს.ს „ლისის ტბას“. შესაბამისად, საქმეში უნდა არსებულიყო ს.ს „ლისის ტბის“ უფლებამოსილი პირ(ებ)ის განცხადებაც, რომელიც მიუთითებდა ს.ს „ლისის ტბის“ მიერ შესრულებული ან არ შესრულებული ვალდებულებ(ებ)ის შესახებაც, რაც დღეის მდგომარეობით, ასე არ არის. შედეგად, დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, „დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული“. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულების გამოცემამდე, საქმის შესწავლა და გამოკვლევა, რომ მოხდარიყო, დადასტურდებოდა, რომ დაინტერესებული მხარეების - რამაზ ახვლედიანისა და ს.ს „ლისის ტბის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების უმეტესობა ვადადმდე ადრე უკვე შესრულებული იყო. გარემოება, რომ პრეზიდენტის #713 განკარგულება ეწინააღმდეგება კანონს და არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, წარმოდგენს განკარგულების ბათილობის საფუძველს.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ იმ გარემოებასაც, რომ პრეზიდენტის #713 განკარგულების უკანონობის გათვალისწინებით, ეჭვს ბადებს ს.ს „ლისის ტბის“ ქმედებაც, ვინაიდან მისი კუთვნილი ქონების ჩამორთმევა ისე განხორციელდა, რომ მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ოფიციალური ჩართულობა არსად ფიქსირდება. ბევრ შეკითხვას ბადებს კომპანიის უმოქმედობა, მაშინ, როდესაც პრეზიდენტის #713 განკარგულებით კომპანიასაც ჩამოერთვა ლისის ტბის მიმდებარე კუთვნილი 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, რამაზ ახვლედიანთან ერთად, ს.ს „ლისის ტბაც“ წარმოდგენდა დაზარალებულ მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიისთვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა განხორციელდა ისე, რომ საქმეში არ არსებობს უფლებამოსილი პირის განცხადება, იმის შესახებ, რომ ს.ს „ლისის ტბა“ ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას. პრეზიდენტის განკარგულების გამოცემამდე, არც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ყოფილა ჩართული, ს.ს „ლისის ტბის“ უფლებამოსილ პირს არ მოუთხოვია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გარემოებების შესწავლა, არც ზიანის ანაზღაურება, არადა რამაზ ახვლედიანთან ერთად, კომპანიაც წარმოდგენდა დაზარალებულს, ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულებით, კომპანიასაც ჩამოერთვა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი. კვლევის მომზადების პროცესში, ორგანიზაციამ 2015 წლის 17 ივლისს წერილით მიმართა სააქციო საზოგადოება „ლისის ტბის“ მოქმედ ხელმძღვანელობას და ქონების ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვა გამოხმაურება, კერძოდ, ს.ს „ლისის ტბას“, 2006 წლის ნოემბრის თვეში, რომელი პირობა ჰქონდა შესრულებული და რომელი - არა, კომპანია, როგორც დაინტერესებული მხარე, ჩართული იყო თუ არა პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულების გამოცემამდე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, ს.ს „ლისის ტბის“ წარმომადგენელმა მიმართა თუ არა განცხადებით ქ. თბილისის მერიას ან მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, იმის თაობაზე, რომ ს.ს „ლისის ტბა“ ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, თუ რა პოზიცია ჰქონდა კომპანიას საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულების გამოცემასთან დაკავშირებით და სხვა, თუმცა საკითხზე გამოხმაურება არ მომხდარა.

კვლევის მომზადების პროცესში, ორგანიზაცია დაინტერესდა რამაზ ახვლედიანის მნიშვნელოვანი ბიზნეს-პარტნიორის, დღეს ს.ს „თიბისი ბანკის“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის, მამუკა ხაზარაძის პოზიციითაც და ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით. დასმულ საკითხებს, არც მამუკა ხაზარაძე გამოეხმაურა. მამუკა ხაზარაძემ უპასუხოდ დატოვა საქმისთვის არსებითი გარემოებები. კერძოდ, როგორც რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, ჰქონდა თუ არა ინფორმაცია, რომ ბიზნესმენის მიმართ საგამოძიებო უწყებების მხრიდან (ფინანსური პოლიცია) ხორციელდებოდა სისტემატური შეტყობინებები და ხელისუფლება მოითხოვდა რამაზ ახვლედიანის ქონების დათმობას, რა შეფასება ჰქონდა ან/და გააჩნდა ამჟამად, რამაზ ახვლედიანის მიერ 2006 წლის 4 ნოემბერს საკუთარი განცხადების საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილი ქონების შესახებ და როგორც რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, ფიქრობდა თუ არა, რომ რამაზ ახვლედიანი ქონებაჩამორთმეულია და ხელისუფლება მის ბიზნესს-ინტერესებს უკანონოდ მოექცა. საქმის მასალებიდან იკვეთება ტენდენცია, მამუკა ხაზარაძისა და ს.ს „ლისის ტბის“ დღევანდელი დუმილი კი კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს კითხვებს, რომ რამაზ ახვლედიანის ინტერესების საზიანოდ, მაშინდელი ხელისუფლება და რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორები, ფარულ გარიგებებში აღმოჩნდნენ რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-თანამშრომლობიდან ჩამოშორებით, შეიქმნა მამუკა ხაზარაძის ინტერესების ლობირება სახელმწიფო გადაწყვეტილებების დონეზე, ამ ეჭვს აძლიერებს ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ჩამორთმეული ლისის ტბის მიმდებარე მიწის ნაკვეთები დღეს იმ კომპანიის საკუთრებაშია, რომლის პარტნიორიც სწორედ მამუკა ხაზარაძეა. ბუნებრივია, რამაზ ახვლედიანის ისტორიაში დგას მამუკა ხაზარაძის, როგორც ბიზნეს-პარტნიორის, კეთილსინდისიერების საკითხიც.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმოს რამაზ ახვლედიანთან დაკავშირებული ბიზნეს-პარტნიორების ქცევას და სახელმწიფოს მოქმედებებს, რომელიც ტოვებს აშკარა შთაბეჭდილებას, რომ როგორც რამაზ ახვლედიანის ყოფილი ბიზნეს-პარტნიორები, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები, თავიდანვე გამოხატავდნენ დაახლოებისა და ურთიერხელშეწყობის სურვილს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულება, 2007 წლის 31 იანვარს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/171 ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ.ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებული შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 3 184 452 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არსებული შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული 353 895 კვ.ნ. მიწის ნაკვეთი დამტკიცებული იქნა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს შორის იყო ლისის ტბის ის მიწის ნაკვეთებიც, რომელიც ჩამოერთვა რამაზ ახვლედიანსა და ს.ს „ლისის ტბას“. საწყისი გასაყიდი ფასი განისაზღვრა 42 542 171, 8 ლარის ოდენობით. ობიექტების საპრივატიზებო ნუსხაში შეტანის შემდეგ, 2007 წლის 16 აპრილს, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გამოსცა #1-1/605 ბრძანება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ ობიექტებზე გამოცხადდა აუქციონი. საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრა 26 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, „ბე“-ს ოდენობა განისაზღვრა 2 650 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო ბიჯის ოდენობა იყო 20 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. 2007 წლის 17 მაისს გაიმართა აუქციონი, სადაც მონაწილეობდა 4 იურიდიული პირი: შპს „ლისი-2007“ (დირექტორი ირაკლი კილაურიძე, უფლებამოსილი წარმომადგენელი მამუკა ხაზარაძე), შპს „ნიმროდი-საქართველო“ (უფლებამოსილი წარმომადგენელი ლაშა გოგიბერიძე), შპს „ლისი-ინვესტმენტი“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო საზოგადოება „აი-აი-სი იელოუ ბ.ვ.“. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლისი-2007“, გასაყიდი ფასი დაფიქსირდა 182 მილიონი აშშ დოლარი. ორგანიზაციის მიერ საქმის მასალების შესწავლის შედეგად, კითხვის ნიშნებს ბადებს აუქციონში შპს „ლისი-2007“-ის გამარჯვება, ვინაიდან აუქციონზე სხვა კომპანია ბევრად მეტ თანხას სთავაზობდა, თუმცა რატომღაც, გამარჯვებულად მაინც შპს „ლისი-2007“ გამოავლინეს. ამიტომაც, საფუძვლიანია ეჭვები, რომ სახელმწიფოსა და კომპანიას შორის მოხდა ფარული გარიგება. კომპანიის დირექტორი მაშინ ირაკლი კილაურიძე გახლდათ, ხოლო უფლებამოსილი წარმომადგენელი მამუკა ხაზარაძე. შემდგომში, ჩვენ ვხედავთ, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, შპს „ლისის-2007“-მა გაიმარჯვა აუქციონში. შპს „ლისი-2007“-ს არ დაუბრუნდეს „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა 2 650 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარიც.

ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალები ცხადყოფს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი გახდა კომპანიის მხრიდან ვალდებულებების არ შესრულება. კერძოდ, შპს „ლისი-2007“ არ გამოცხადდა სამინისტროში ხელშეკრულების გასაფორმებლად და არ გადაიხადა აუქციონზე მის მიერ დასახელებული საბოლოო ფასი, ობიექტის გამოსასყიდი ღირებულება. ორგანიზაციამ კველევის მომზადების პროცესში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ვერ მიიღო ინფორმაცია, შპს „ლისი-2007“-ის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, დაეკისრა თუ არა რაიმე სახის სანქცია კომპანიას და რა სახის სანქცია იქნა გამოყენებული. სამინისტროს წერილში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ კომპანიას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებითი გადახდილი ჰქონდა მხოლოდ „ბე“-ს ოდენობა 2 650 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი და სხვა რაიმე თანხა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ჯარიმის ან ზიანის ანაზღაურების სახით, არ აქვს გადახდილი. შესაბამისად, ღია რჩება კითხვებიც, რატომ უზრუნველყო სახელმწიფომ იმ კომპანიის გამარჯვება აუქციონში, თუკი განჭვრეტადი არ იყო მისი ანგარიშვალდებულების საკითხი და კომპანიის გამარჯვება ემსახურებოდა თუ არა მხოლოდ იმ მიზანს, რომ აუქციონზე არ გაემარჯვა სხვა კომპანიას, არ გაემარჯვა რამაზ ახვლედიანს, ჰქონდა თუ არა აუქციონის ჩატარებას ფიქტიური ხასიათი. მოგვიანებით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განკარგვის და სახელმწიფოს მხრიდან მამუკა ხაზარაძესთან დაკავშირებული კომპანიების მიმართ გადაცემის ფაქტი მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ რამაზ ახვლედიანის ყოფილი ბიზნეს-პარტნიორებსა და სახელმწიფოს შორის სათანამშრომლო გარემოა.

პრეზიდენტმა 2008 წლის მარტში შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით 45 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად გადაეცა ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 60 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 1 041 798 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს შორის იყო ლისის ტბის ის მიწის ნაკვეთებიც, რომელიც თავის დროზე, ჩამოერთვა რამაზ ახვლედიანსა და ს.ს „ლისის ტბას“. შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგს“ შემდგომში გაუჭირდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რასაც ამტკიცებს კომპანიის დირექტორის წერილი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ვალდებულების გადავადების თაობაზე და პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებაც, კომპანიისთვის ვალდებულების გადავადების შესახებ 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის, მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, გათვალისწინებული იყო სანქციები, თუმცა აღნიშნული სანქციები შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ მიმართ არ გამოყენებულა. პირიქით, განხორციელდა ხელშეწყობა, კომპანიის დირექტორის წერილის შედეგად, გადავადდა ვალდებულების შესრულების ვადა, დამატებით კიდევ 4 წლით.

ორგანიზაციის შეფასებით, მოცემული ფაქტობრივი გარემოება ცხადყოფს, რომ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის იყო განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რის შედეგადაც, სახელმწიფო გარკვეულ დათმობებზე წავიდა. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ 100 პროცენტიანი წილის მფლობელი გახლდათ ირაკლი კილაურიძე, რომელიც ამავე დროს იყო „შპს „ლისი-2007“-ის დირექტორიც. საგულისხმოა, რატომ გადასცა სახელმწიფომ ლისის ტბის მიმდებარე მიწის ნაკვეთები კვლავ იმ პირების კომპანიას, რომლებმაც ვალდებულება არ შეასრულეს და შედეგად სახელმწიფომ გააუქმა აუქციონის შედეგები. საგულისხმოა, რატომ არ დადგა კვლავ ეჭვის ქვეშ, კომპანიის მხრიდან ვალდებულების შესრულების საკითხი, მითუმეტეს, მოცემულ შემთხვევაში, შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგმა“ აუქციონზე გამარჯვების შედეგად კი არ მიიღო ლისის ტბის მიმდებარე მიწის ნაკვეთები, არამედ პირდაპირ, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე. ამასთან, სახელმწიფოსა და კომპანიის მესვეურებს შორის კეთილგანწყობილ ფორმაზე მიუთითებს პრეზიდენტის 2010 წლის 21 მაისის განკარგულებაც „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტისათვის“ (პარტნიორები: მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, ბობ მეიერი) პირდაპირი მიყიდვის ფორმით

პრივატიზების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 104931 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.013) და ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მდებარე 293895 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.16.011.001) და იქ არსებული რეზერვუარი. ამავე დღეს პრეზიდენტმა გამოსცა კიდევ ერთი განკარგულება #416, რომლის მიხედვითაც, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 9 466 133 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ლისი ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე 1051138 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.010), 248804 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.009) და ლისი ტბის მიმდებარედ, სოფ. ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 737781 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ01.14.17.001.014). საერთო ჯამში, გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე 2 037 723 კვ.მ. მიწის ფართობი. 2011 და 2012 წლებშიც, პრეზიდენტის #416 განკარგულებაში, განხორციელდა ცალკეული ცვლილება, რომლის თანახმადაც, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ 9 466 133 აშშ დოლარად გადაეცა იგივე ოდენობის, კერძოდ, 2 037 723 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, თუმცა მიწის ნაკვეთების შეცვლილი საკადასტრო მონაცემებით (ს/კ01.14.17.001.019; 01.14.17.001.021; 01.14.17.001.018; 01.14.001.014.017). საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, რომ 3 წლის განმავლობაში, შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“ უნდა განეხორციელებინა 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. ამავე დროს, კომპანიას მიენიჭა განუსაზღვრელი უფლებამოსილება, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას მიეცა უფლება თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ ფორმით გაასხვისოს, განკარგოს და დატვირთოს გადაცემული მიწის ნაკვეთების გარკვეული ნაწილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროსთან რაიმე სახის შეტყობინების/ინფორმაციის მიწოდების გარეშე.

ორგანიზაციის შეფასებით, საგულისხმოა ყურადღება დაეთმოს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2007 წელს, ლისის ტბის მიმდებარე მიწის ნაკვეთი საერთო ჯამში 3 538 347 კვ.მ. ანუ იგივე ფართობის მიწის ნაკვეთი, რაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით გადაეცა მამუკა ხაზარაძისა და ირაკლი კილაურიძის კომპანიებს, აუქციონზე გაიყიდა 182 მილიონ აშშ დოლარად და აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლისი-2007“ (დირექტორი ირაკლი კილაურიძე, უფლებამოსილი წარმომადგენელი მამუკა ხაზარაძე), რომელსაც უნდა განეხორციელებინა 25 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, ანუ საერთო ჯამში, სახელმწიფოს კომპანიისგან უნდა მიეღო 207 მილიონი აშშ დოლარი. ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, სახეზეა, რომ სახელმწიფომ იგივე ქონება, რომელიც აუქციონზე გაიყიდა 182 მილიონ აშშ დოლარად, გადასცა იმავე პირების მიერ დაფუძნებულ კომპანიებს ბევრად ნაკლებ ფასში. კერძოდ, ჯამში 56 466 133 აშშ დოლარად, შედეგად, სახელმწიფომ ვერ მიიღო 125 533 867 აშშ დოლარი. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, საკვირველია, რატომ მიიღო სახელმწიფომ გადაწყვეტილება, რომ ლისის ტბის მიმდებარე მიწის ნაკვეთები პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა კომპანიებისთვის ბევრად ნაკლებ ფასში, როდესაც შეეძლო, თუნდაც აუქციონის გამოცხადების გზით, გაეყიდა ბევრად დიდ თანხაში. გარდა ამისა, ეჭვს ბადებს სახელმწიფოს მიერ ნდობის გამოცხადება იმ კომპანიების მიმართ, რომელთა მმართველებიც გახლდათ ის პირები, რომლებიც წარმოადგენდნენ შპს „ლისის-2007“-ს, კომპანიას, რომელმაც აუქციონზე გაიმარჯვა, თუმცა ვალდებულება არ შეასრულა და შედეგად გაუქმდა აუქციონის შედეგები. საგულისხმოა, სახელმწიფომ რატომ ანდო ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განვითარება და ინვესტიციების განხორციელება კომპანიებს, რომლის მმართველი პირები გახლდათ შპს „ლისი-2007“-ის პარტნიორები და რომლებმაც თავის დროზე არ შეასრულეს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

კვლევის მომზადების პროცესში, გამოვლენილი ფაქტობრი გარემოებების შეფასებით, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა ფარულ გარიგებებს სახელმწიფოსა და კომპანიების წარმომადგენლებს შორის, საქმეში იკვეთება შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტისა“ და შპს „ფროფერტი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ პარტიონრების მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, განსაკუთრებით, მამუკა ხაზარაძის მხრიდან, რომელიც გახლდათ რამაზ ახვლედიანის პარტნიორი და დაგეგმილი ჰქონდათ ერთად გაეუმჯობესებიათ ლისის ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობა. სწორედ ამ მიზნით, მათ დააფუძნეს ს.ს „ლისის ტბა“, რომელსაც პრეზიდენტის #382 განკარგულებით გადაეცა 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ხოლო პირადად ფიზიკურ პირს რამაზ ახვლედიანს 63.5 ჰა კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თუმცა იმავე წლის პრეზიდენტის #713 განკარგულებით, გადაცემული ქონებები ჩამოერთვა, როგორც ს.ს „ლისის ტბას“, რომლის პარტნიორებიც გახლდათ რამაზ ახვლედიანი და მამუკა ხაზარაძე, ასევე ფიზიკურ პირ რამაზ ახვლედიანს. ორგანიზაციის შესწავლილი მასალებით დგინდება, რომ ქონების ჩამორთმევის საკითხი მტკივნეული აღმოჩნდა მხოლოდ რამაზ ახვლედიანისათვის, ვინაიდან ქონების ჩამორთმევის შემდეგ ს.ს „ლისის ტბის“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის პრეტენზიას, სულ მცირე განცხადებით მიმართვას უფლებამოსილი ორგანოებისათვის, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარეს. შესაბამისად, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს საქმეში მამუკა ხაზარაძის „უმოქმედობა“ ქონების ჩამორთმევის თაობაზე, რასაც შემდეგ მოჰყვა ის, რომ მამუკა ხაზარაძის საკუთრებაში არსებულ კომპანიებს სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცა ლისის ტბის ტერიტორიაზე არსებული ქონება, მიწის ნაკვეთები, რომლის ნაწილიც წარმომადგენდა ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის საკუთრებას.

2000 წლის 27 სექტემბერს, შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსმა „ლისის ტბამ“, რომლის პარტნიორიც იყო რამაზ ახვლედიანი მიიღო ლისის ტბის სპეციალური სარგებლობისათვის საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია, რომლიც გაიცა 25 წლის ვადით, ლიცენზიის მოქმედების დამთავრების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 24 ნოემბერი. მას შემდეგ, რაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით, გაუქმდა აღნიშნული ლიცენზია და გაუქმების შემდეგ, არც ერთ კანონში და ნორმატიულ აქტში არ არის მითითებული, მოქმედებს თუ არა საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და აქვს თუ არა იურიდიული ძალა პირების მიღებულ იმ ლიცენზიას, რომელის მოქმედების ვადა ჯერ არ დამთავრებულა, რამაზ ახვლედიანი დაინტერესდა სახელმწიფოს პოზიციით, ვინაიდან კანონი ცალსახად არ წყვეტს აღნიშნულ საკითხს და მისი კომპანიის მიერ აღებული ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხი არ მიუღია.

აქვე, კიდევ ერთი საგულისხმო და საინტერესო დეტალიც - ორგანიზაციამ კვლევის მომზადების პროცესში, 2015 წლის 30 ივლისს წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს და მოითხოვა ინფორმაცია საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიასთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაციის მიღება, თუ როგორ რეგულირდება იმ პირების საკითხი, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ გასული არ არის. აღნიშნულ შემთხვევაში, ლიცენზია ინარჩუნებს თუ არა იურიდიულ ძალას მას შემდეგ, რაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებს საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას. ხორციელდება თუ არა სახელმწიფო ზედამხედველობა/კონტროლი და როგორ, თუ რამდენად ასრულებენ ლიცენზიის პირობებს პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ არის გასული. როგორია სამინისტროს

ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებსაც მიღებული აქვთ საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზია და ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ არის გასული. როგორ უნდა მოიქცეს პირი, რომელიც ფლობს საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას, ლიცენზიის მოქმედების ვადა ჯერ არ არის დამთავრებული და სურს აღნიშნული ლიცენზიის ვადამდე ადრე გაუქმება. ორგანიზაციას ეცნობა, რომ სამინისტრო საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიებზე, ინფორმაციას არ ფლობს.

ორგანიზაციის შეფასებით, რამაზ ახვლედიანის მიმართ, სახელმწიფომ მართლზომიერების უფლება ბოროტად გამოიყენა და შექმნა სამართლებრივი სივრცე, სადაც კანონის სახელით, თავისუფალი ბიზნესისა და საკუთრების უფლების ხელყოფა მოახდინა. რამაზ ახვლედიანი ქონებაჩამორთმეულია, რომლის მიმართაც ხელისუფლების ცალკეულმა უწყებებმა განახორციელეს იძულება, მუქარა, გამოძალვა, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამატება, ნამდვილი იურიდიული ნების საწინააღმდეგოდ, პირადი განცხადების საფუძველზე, უარი ათქმევინეს ბიზნესსა და ქონებაზე, რაც ცალსახად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადი ქმედებაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქმეზე მიუკერძოებელი, ობიექტური და სამართლიანი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების გადაწყვეტილება, რადგანაც კანონის უზენაესობის პრინციპი, რეალურად, რეალიზებულ იქნეს.

5. სარეკომენდაციო წინადადებები

საქართველოს პრეზიდენტის მიმართ

მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ ქმედებას ქონების დათმობასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი სივრცის გაჩენა, რომელიც მიმართული იქნება საქმეებზე სამართლიანი გადაწყვეტილებებისკენ, ყოფილი და მოქმედი კეთილსინდისიერი მესაკუთრეების უფლებებისა და ინტერესების დაცვისკენ;

მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა სადაოდ მიჩნეულ ქონებებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, გამოაცხადოს მორატორიუმი, რითაც უკანონოდ შეძენილი ქონების მფლობელთა მხრიდან შეჩერდება მათი გასხვისების პროცესი;

მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა რამაზ ახვლედიანის საქმესთან დაკავშირებით, პოლიტიკური შეფასება მისცეს ყოფილი პრეზიდენტის მიერ მიღებულ 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულებას, რომელმაც ძალადაკარგულად გამოცხადა პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის #382 განკარგულება და რამაზ ახვლედიანი აღმოჩნდა სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლი.

საქართველოს მთავრობის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ დააჩქაროს სამართლებრივი მოქმედებები ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილებების დადგომისთვის. ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ გამოყენებული იქნეს „რეპრესიების მსხვერპლის“ სტატუსი;
2. მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებთან დაკავშირებით, არსებობდეს საქართველოს მთავრობის მკაფიო პოლიტიკური და სამართლებრივი ნება, რითაც აღმასრულებელი ხელისუფლების არაპირდაპირი ჩარევა დააჩქარებს საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საგამოძიებო მოქმედებებსა და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების, განმცხადებლების წინაშე.
3. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გაატაროს საჭირო ღონისძიებები, რომლის შედეგადაც ქონებაჩამორთმეულთა საქმეებთან დაკავშირებული ყველა საჯარო პასუხიშემგებელი დაწესებულების საქმიანობა გახდება ეფექტური და შედეგიანი;

საქართველოს პარლამენტის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა ეფექტური კონტროლი ან/და მონიტორინგი განხორციელოს საქმეების გამოძიების ეფექტურობის მიმართულებით, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების დაჩქარების შესახებ გაკეთდეს პოლიტიკური განცხადებები, შესწავლილ იქნეს საგამოძიებო მოქმედებების გაჭიანურების გამომწვევი მიზეზები და გარემოებები.
2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს ცვლილება, რომელიც ზუსტად დაარეგულირებს გაცემული ლიცენზიების საკითხს, რადგანაც მას შემდეგ, რაც გაუქმდა გარკვეულ საქმიანობაზე ლიცენზია, თუმცა წარსულში აღებული ლიცენზიის მოქმედების ვადა, 2015-2016 წლების მდგომარეობით, ჯერ არ არის დამთავრებული.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს საერთო სასამართლოებმა გაითვალისწინონ ქონებაჩამორთმეულთა კანონიერი ინტერესები, საქმეთა განხილვა დაჩქარდეს და მიენიჭოს პრიორიტეტული მიმართულება, გათვალისწინებულ იქნეს სავარაუდო მსხვერპლთა საქმეთა გახანგრძლივებასთან დაკავშირებული განწყობები და საქმეთა განხილვა დაეფუძნოს სწრაფი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების საფუძვლებს;
2. მნიშვნელოვანია, საქართველოს სასამართლოებმა შექმნან სტატისტიკა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ იმ საქმეთა წარმოების შესახებ, რომელიც ეხება უძრავი ქონების, საკუთრების, წილების არამართლზომიერად დათმობის საკითხებს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებთან იქონიოს ჯეროვანი კონტაქტი, რათა არსებობდეს სრული ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის, ეტაპების, შემაფერხებელი გარემოებებისა და დასრულების გონივრული ვადების თაობაზე;
2. მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების პროცესში საპროკურორო უფლებამოსილება განახორციელონ პირებმა, რომლებსაც წარსულში, ნებსით და უნებლიეთ, შემხებლობა არ გააჩნდნათ სისტემური დანაშაულებების პროცესთან;
3. მნიშვნელოვანია, რომ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე გამოძიება, საქმის შესწავლა, ქონებაჩამორთმეულთა პირებისათვის „დაზარალებულის“ სტატუსის მინიჭება, შესაბამისი პირების პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი დაჩქარდეს;
4. საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობა გახდეს მეტად აქტიური, სწრაფი და შედეგიანი.

ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ

1. მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულმა მოქალაქეებმა აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს პროკურატურასთან და საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მიმართონ საერთო სასამართლოებს.

მედია საშუალებების მიმართ

1. მნიშვნელოვანია მედია საშუალებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გაშუქებასა და საზოგადოების ინფორმირებაში, თითოეული საქმის შესახებ ობიექტურად და მიუკერძოებლად იქნეს ინფორმაცია მიწოდებული.

System Against the Citizen

Ramaz Akhvlediani's Case

Lisi Lake Case

A research

Table of Contents

1. Introduction
2. Legal Aspects of the Issue
3. Factual Analysis of the Case
4. Conclusion
5. Recommendation Proposal

N(N)LP The „Young Barristers”
December, 2015
Tbilisi

1. Introduction

Governmental changes of October 1, 2012, revealed numbers of systemic crimes, committed during the ruling of the former Government. The situation is especially critical towards those, who were forced to cede their legal property and whose right to a fair trial were violated during 2004-2012.

